რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 3 დეკემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 212 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 212

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ კავკასიის ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ აქციონერთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება დანიშ.

კვირას, 10 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, ბანკის ბინაზე

(თფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5. ტელეფ. 15—26.

შემდეგი საკითხების განსახილველათ: 1) ძირითადი თანხის გადიდება და 2) ბანკის განყოფილებათა გახსნა.

სახელდებული აქციების პატრონთ საზოგადო კრებაზე უფლება აქვთ ხმისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეტანილნი არიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე (წესდ. § 58).

აქციონერს, რომელსაც ხმის უფლება აქვს და ვერ დაესწრება კრებას, შეუძლიან თავისი უფლება გადასცეს ვექილობით სხვას, მხოლოდ ისევ ხმა-უფლებიანს; ერთსა და იმავე აქციონერს არ შეუძლიან იქონიოს ორ ვექილობაზე მეტი და არავითარ შემთხვევაში ერთ მეათედზე მეტი იმ ხმებისა, რამდენიც ეკუთვნიან კრებაზე დამსწრე აქციონერთ. 4—4

ახალ სრულ-უფლებიან
ქართულ გიმნაზიაში

ორთავე სქესის ყმაწვილთათვის

სწავლა უკვე დაიწყო. მიღება გრძელდება უეგზამენოთ, მიღებულების გადარჩევა მოხდება 20 და 21 დეკემბერს პირველ კლასში და მოსამზადებელ განყოფილებებში მოსათავსებლად, მიხედვით მათი ცოდნისა, ნიჭისა, შრომის მოყვარეობისა და უნარისა. იანვარში მიღების მსურველთ კი ექნებათ გამოცდა დეკემბერში 22 და 23, იანვარში 5 და 8.

მისამართი: ვერის უმაღლესი პირველ-დაწყებ. სასწავლებელი, არაგვის ქ., ხიმშიაშვილის სახლი № 2.

15—12 დამფუძნებელი ხ. და თ. გრიაზნოვები.

სახალხო სახლში, 15 ქრისტეშობისთვეს, დილის 9 საათზე

სასადილოების, სასტუმრო კლუბების—საყავეების და სხ. პროფ. კავშირის გამგეობა იწვევს

წლიურ საზოგადო კრებას

დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) გამგეობის მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 5) უმუშევართა საკითხი, 6) არჩევნები: 1, გამგეობისა; 2, სარევიზიო კომისიისა და მათი კანდიდატებისა; 3, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლებისა, 7) მიმდინარე საქმეები.

რადგანაც საყურადღებო საკითხებია გადასაწყვეტი, გამგეობა სთხოვს ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ კრებას.

3—1 გამგეობა.

ქალაქის შრომის ბირჟა

ქალაქის შრომის ბირჟის პარიტეტული კომიტეტი ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ უკვე გაიხსნა ქალ. თვითმმართველობის მიერ მოწყობილი **შრომის ბირჟა.** შრომის ბირჟა, როგორც დამქირავებლებს, ისე დაქირავებულთ უსასყიდლოთ უწევს სამსახურს. ბირჟა მოუწოდებს ყველა უსაქმოთ დარჩენილთ: ხელოსან მუშებს, შავ მუშებს და აგრეთვე ყველა ინტელიგენტ მუშაკებს ჩაეწერონ ბირჟაში სამუშაოს მისაღებათ. ბირჟა მიმართავს აგრეთვე სხვა და სხვა საზოგადოებებს, კერძო დაწესებულებებს, კანტორებს და კომიტეტებს, რომ მუშების და მოსამსახურეთა საჭიროების დროს მიმართონ ქალაქის შრომის ბირჟას.

შრომის ბირჟა მოთავსებულია მადათოვის ქუჩ. № 11, ზუბალოვის სახლში, სადაც წინეთ იყო სასტუმრო „ლონდონი".

ბირჟა ღია არის ყოველ დღე დილ. 10 ს. დღის 3 საათ. კვირაობით კი დილ. 10—12 ს.

სავალდებულო დადგენილება

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

თანახმად დროებითი მთავრობის დადგენილების 30 მარტის 1917 წლის მე 13 მუხლისა, თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა, თავისი ძველი დადგენილების დასამატებლათ 7 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა:

I. ნება მიეცეს კერძო პირებს გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად თავისუფალი გადატან-გადმოტანა გუბერნიის ფარგლებში:

1) შაქარი	3 გირვანქამდე.	13) ფეხსაცმ., ამათში წუღები	2 წყვილი.
2) საპონი	2 ფუნტამდე.	14) თუთუნი, თუთუნის ნაწარ.	5 გირვანქ.
3) ხორბალი	2 „	15) სპიჩკა	20 კარობკამდე
4) ჩაი	1 გირვანქამდე.	16) სანთელი	3 გირვანქამდე.
5) ყველი	20 „	17) ლობიო, ცერცვი	2 ფუთამდე.
6) ბრინჯი	5 „	18) გამხმარი ხილი	10 გირვანქამდე.
7) კვერცხი	100 ცალამდე.	19) ძმარ-ყურძნის ფოთოლი	5 „
8) კარტოფილი	5 ფუთამდე.	20) კრუპა ყოველნაირი	10 „
9) ფქვილი	2 „	21) გამომცხვარი პური	10 „
10) შალი ადგილობრივი	1 ნაჭერი.	22) ფრინველი, ცოცხალი და მოკლული განუსაზღვრელად,	
11) ძაფი საქსოვი	5 კოჭ.	23) დაფნის ფოთოლი	1 გირვანქამდე.
12) ტყავის საქონელი	3 გირვანქამდე		

II. **გატანა გუბერნიიდან** ზემო ჩამოთვლილი საგნებისა არა უმეტეს ნაჩვენებ რაოდენობისა ხდება ყოველთვის განსაკუთრებულ ნებართვით ადგილობრივ რაიონულ სასურსათო კომიტეტებისა. გატანა გუბერნიიდან ზემო ნაჩვენებ რაოდენობაზე მეტის კი გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებართვით.

III. ფქვილის გადაზიდვა 5 ფუთამდე გუბერნიის საზღვრებში, აგრეთვე გადაზიდვა გუბერნიის საზღვრებში ზემო ნაჩვენებ რაოდენობაზე მეტის აკრძალულია რაიონულ სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველათ (გასატან ადგილიდან).

IV. გადაზიდვა გუბერნიის საზღვრებში, აგრეთვე გატანა გუბერნიიდან 5 ფუთზე მეტი ფქვილის, მანუფაქტურის, ცარიელი ტომრების, შეშის, რქოსანი საქონლის, რკინის და რკინეულობის აკრძალულია გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად ყოველ კერძო შემთხვევაში.

V. მიღება და გაგზავნა თფილისში გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ადრესზე ყოველგვარი საქონლისა რამდენიც არ უნდა იყოს, უნდა სწარმოებდეს დაუბრკოლებლივ, ადგილობრივ სასურსათო კომიტეტის ნებართვით.

ამ სავალდებულო დადგენილებით ყველა დადგენილებანი კომიტეტისა, რომელიც საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვას შეეხება კარგავენ ძალას და მომავალში ადმინისტრაცია რკინის გზებისა, ფოსტა ტელეგრაფის და ტრანსპორტის კანტორებისა და ადგილობრივი მილიცია ხელმძღვანელობენ მხოლოდ ამ სავალდებულო დადგენილებით. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში პასუხისგებაში მიეცემიან მე-29 მუხლის ძალით, რომელიც ეხება მომრიგებელ მოსამართლის მიერ დროებითი მთავრობის 17 მარტის რედაქციით 17 მარტიდან 1917 წლისა.

(2—2) თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

სტიქიური მოძრაობა და ბოლშევიკები

ბოლშევიკების ლიდერმა და მისმა პიგმენტ-პროტოპლაზმებმა რუსეთის ფართო მასის სტიქიური მოძრაობა [illegible] გამოიყენეს და წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელება მოინდომეს. ანარქო-ბლანკისტები ავანტიურისტულ თავის განწირვით მედგრათ მეცადინეობენ მთელი რუსეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება სოციალისტურათ გარდაქმნან და ამისათვის ისინი არავითარ საშუალებას და ბრძოლის მეთოდს არ ერიდებიან.

ყოველ რევოლუციის ხანაში მასის მოძრაობას საზოგადოთ სტიქიური ხასიათი ქონია, განსაკუთრებით იქ, სადაც საწარმოვო ძალთა განვითარება ობიექტიური და სუბიექტიური პირობები ნაკლებათ არის დამწიფებული. ასეთ პირობებში ფართო დემოკრატია სცხოვრობს და იღწვის მხოლოდ და მხოლოდ უახლოეს მატერიალური მიზნების დაკმაყოფილებისათვის. მას სოციალისტურ თანასწორობაზე, საზოგადოების სოციალისტურათ მოწყობაზე, მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს და იგი [illegible] გრძნობით ხელმძღვანელობს.

აქ სტიქია გადამწყვეტ როლს თამაშობს და რუსეთის ბოლშევიკ. [illegible] დემოკრატიის სტიქიური მოძრაობა თავიანთი ლოზუნგებით, ბოლშევიკური [illegible] შეფუთნილი და [illegible] გახადეს.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ბოლშევიკების ლიდერმა ლენინმა კარგა ხანია ობიექტიური და სუბიექტიური პირობების ანგარიშის გაწევაზე ხელი აიღო და მან სტიქია სოციალიზმის განხორციელების საუკეთესო იარაღათ გამოაცხადა. და რომ ეს სტიქია დასახელებულ მიზნისათვის შესაფერ იარაღათ გადაიქცეს, საჭიროა მას შეგნებული ინტელიგენცია—სოციალისტური ჯგუფი სათავეში ჩაუდგეს და იგი თავისი სურვილისამებრ ამოძრაოს. ასეთი [illegible] შეხედულება მან არა ერთხელ გამოთქვა. იგი ხშირათ რევოლუციონურ ისტორიის „მოქმედებით" ინტელიგენციას ადარებდა. ასეთია წვრილ ბურჟუაზიის შეხედულებით შეპყრობილ ინტელიგენტების თვალსაზრისი, ანარქო-ბლანკისტური მსოფლმხედველობა. ამ ჯგუფის ვაჟბატონებისათვის ფართო მასა უბრალო ბრბოა, ხოლო ინტელიგენტები კი „გმირები". ამათ შეუძლიათ ეს მასა ნებისამებრ გამოიყენონ და უკანასკნელებიდან როგორიც საზოგადოებრივი წყობილებაც უნდათ, ისეთი დაამყარონ. მხოლოდ საჭიროა სოციალისტური საზოგადოების დამთავრებული სისტემა, ინტელიგენტების მიერ შემუშავებული გეგმა.

ამიტომაც იყო ლენინი რევოლუციის პირველ ხანაში საზღვარ-გარეთიდან ასეთ დამთავრებულსა და დასრულებულ სოციალისტური რევოლუციის გეგმით დაბრუნდა და უმალვე შეუდგა რუსეთში სოციალისტური წყობილების დამყარებას. ეჭვს გარეშეა, ასეთ ფიქციებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, სადაც თანამედროვე მუშათა მოძრაობას გრძელი ისტორია აქვს და სადაც პროლეტარული მოძრაობა მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზეა დამყარებული, გასავალი არ ექნებოდა, მაგრამ რუსეთის სინამდვილეში მან გასავალი იპოვა და შეუგნებელი წვრილი გლეხობა—ჯარისკაცების ფორმაში გამოწყობილი—ლენინის ლოზუნგებს ფანატიკურათ მიეტანა და მის გარშემო მოძრაობა დაიწყო. მით უმეტეს, რომ ლენინ-ტროცკიმ და მათ ამყოლ-დამყოლთ ფართო მასის სტიქიურ მოძრაობის გასაძლიერებლათ ლოზუნგების ქარხნები დააარსეს და მათ მუდამ დღე ახალ-ახალ რასმე და ქვეყნათ ნეტარების დამყარებას ჰპირდებიან.

ბოლშევიკებში მრავალი წინასწარმეტყველები გაჩნდნენ და მიმდევრებიც მრავლათ იშოვეს. დასავლეთ ევროპაში ასეთი წინასწარმეტყველები აღარ არიან, იქ ოდესღაც ძლიერი სანდიკალისტები და წვრილი ბურჟუაზიული ანარქისტები თითქმის სავსებით მოისპნენ და მასაზე არავითარ გავლენით არ სარგებლობენ. ჯერ ისევ 70 წლის წინეთ კარლ მარქსი გერმანიის ცნობილ წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტ ვეიტლინგს მოუხსენებდა, რომ მას თავისი წინასწარმეტყველებითი ქადაგება რუსეთში გაემართა და იქ შესაფერ მიმდევრებიც იშოვნა.

ასეთი ცრუ წინასწარმეტყველები რუსეთში ლენინი და მისი მიმდევრები გამოჩნდნენ და რუსეთის გლეხკაცობას, ამ სახელმწიფოს უდიდეს ნაწილს სოციალიზმის დამყარებისაკენ მოუწოდებენ. იმედი „თითქოს" უსრულდებათ: მათ მხარს უჭერს ჯარისკაცები და გლეხკაცობის ერთი ნაწილი და სტიქიური მოძრაობა [illegible] თავიანთ ავანტიურაში ჩაითრიეს. მაგრამ ლენინი და ბოლშევიკები მაინც საწადელს ვერ მიაღწევენ, ვინაიდან მთელი თავიანთი უტოპიით ისინი რუსეთის მასიურ მოძრაობას არამც თუ სოციალიზმს, დემოკრატიულ რესპუბლიკასაც აშორებენ და მით საშინელ ანარქიას ნიადაგს უმზადებენ. გმირები კი არ ქმნიან ისტორიას, არამედ ადამიანები ქმნიან ისტორიას და უკანასკნელები განსაზღვრულ პირობებში ამყარებენ სოციალისტურ წყობილებას. სოციალიზმისაკენ ნაადრევათ ნაბიჯის გადადგმა, მუდამ ხალხის დამარცხებით თავდება.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა კრების გამო

დღეს წერა-კითხვის საზოგადოების თფილისის განყოფილების საზოგადო კრებაა დანიშნული რწმუნებულების ასარჩევათ.

დიდი ხნის ბრძოლა დასჭირდა დემოკრატიას, რომ „მამების" ზედ-მეტი ოპეკუნობისათვის ბოლო მოეღო. ჯერ [illegible] და საწევრო გადასახადის შემცირებამ გამოიწვია დიდი აურ-ზაური, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, საწევრო გადასახადი შემცირებულ იქნა, და დემოკრატიას სამოქმედო გზა გაეხსნა.

ძველი წესდებით თფილისის მთავარი გამგეობა მართავდა მთელი საზოგადოების საქმეს საქართველოს ყველა კუთხეში. ფაქტიურათ ეს იმას ნიშნავდა, რომ თფილისში მცხოვრები წევრები განაგებდნენ უზარმაზარ საზოგადოების ბედ-იღბალს.

დემოკრატიის მეცადინეობით ძველი წესდება შეცვლილ იქნა. თფილისში დაარსდა ცალკე განყოფილება, ხოლო მთელი საზოგადოების საქმეების გაძღოლა ეკისრება გამგეობას, რომელსაც ყველა განყოფილებათა რწმუნებულების ყრილობა იწვევს. ეს ხდება ასე: ყველა განყოფილება ირჩევს რწმუნებულთა განსაზღვრულ რიცხვს და ეს რწმუნებულები თფილისის განყოფილების რწმუნებულებთან ერთათ შეადგენენ ერთ კრებულს, რომელიც ირჩევს მთავარ გამგეობას. თფილისის განყოფილებაზე მოდის ორმოცდა ათი რწმუნებული, რაც რწმუნებულთა საერთო რიცხვის დიდ ნაწილს შეადგენს. ამიტომ თფილისის არჩევნებს დიდი მნიშვნელობა ექნება წერა-კითხვის საზოგადოებისათვის.

წერა კითხვის საზოგადოებას თვითმმართველობის [illegible] სამოქმედო ასპარეზი გაეხსნა. ჩვენი ვალია ვისარგებლოთ ამ ასპარეზით და დემოკრატიის [illegible] ხელი შევუწყოთ.

წითელი გვარდია

ზოგიერთები კითხულობენ: რა საჭიროა წითელი გვარდია, როცა მუდმივი ჯარი არსებობს. მათ ჰგონიათ, რომ წითელი გვარდიის არსებობა უთანხმოებას და უკმაყოფილებას დაბადებს მუშებსა და ჯარს შორის და მეტოქეობას გამოიწვევს.

პირველის შეხედვით, ეს მოსაზრება სწორია. მართლაც, სალდათები ხომ იგივე ხალხის შვილებია, მუშები და გლეხები. რა საჭიროა მათ გვერდით კიდევ რაღაც გვარდიის შედგენა, როცა ჯარი ტექნიკურათაც მაღლა დგას გვარდიაზე.

ჩვენს პროგრამა-მინიმუმში სხვათა შორის გვ წერია: მუდმივი ჯარის მოსპობა და მილიციის შემოღება.

ეს მოთხოვნა შემთხვევითი როდია.

მუდმივი ჯარი ღებულობს ერთგვარ კასტის, წოდების ხასიათს. ის რამდენადმე მოწყვეტილია ხალხზე და ამიტომ სავსებით მასზე დამყარება შეუძლებელია.

თუ რამდენათ დაუდგრომელია დღევანდელი ჯარი, ეს ჩვენ გამოცდილებით ვიცით. ის ჯერ თვითმპყრობელობას იცავდა, შემდეგ რევოლუციას მიემხრო და კერენსკის [illegible] და საზოგადოთ სოციალისტ რევოლუციონერების დროშის ქვეშ იდგა. ოქტომბრის დღეებში მან ზურგი აქცია სოციალისტ-რევოლუციონერებს, კერენსკი ქვეყნის მოღალატეთ ჩასთვალა, ხოლო მის ნაცვლათ ლენინი და ტროცკი აღიარა მხსნელათ.

ჩვენ ამით სრულიადაც არ ვფიქრობთ დავამციროთ ჯარის მნიშვნელობა, ჩვენ მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ.

კერძოთ ჩვენში განსაკუთრებული პირობებია: ჯარი მრავალ ელემენტებისაგან და მრავალ ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან შედგება. ასეთი ჯარი არ იცნობს კარგათ ადგილობრივ პირობებს და ამ ნიადაგზე ყოველთვის შეიძლება მოხდეს გაუგებრობა, მით უმეტეს, რომ საზოგადოების ნაძირალები ყოველ მოხერხებულ დროს უცდიან არევ დარევის გამოსაწვევათ. ასეთ პირობებში წითელი გვარდიის შედგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ეს გვარდია დგება ადგილობრივ მუშებისაგან, რომლებიც კარგათ იცნობენ ადგილობრივ პირობებს, იცნობენ მუშების და საზოგადოთ დემოკრატიის სულიერ განწყობილებას. ასეთი გვარდია შემაერთებელი ხიდია ადგილობრივ დემოკრატიასა და მუდმივ ჯარს შორის; გვარდიის არსებობა უზრუნველჰყოფს ჯარსა და მცხოვრებთ შორის კეთილ განწყობილებას.

ამიტომ მუშების ვალია სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს, ისინი უნდა ჩაეწერონ გვარდიაში და ფხიზლათ ადევნონ თვალი, რომ გვარდიაში უღირსი ელემენტები არ შემოიპარონ.

პრესა

ბოლშევიკები დემაგოგიით საზრდოობენ. ამ დღეებში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ბოლშევიკების „ცნობილი" კომისარის შაუმიანის დეპეშა პეტროგრადში გაგზავნილი, რომელიც ეხებოდა თფილისში შეიარაღებულ გამოსვლის მოწყობას და პეტროგრადელ ბოლშევიკებს სთხოვდა ამ საქმეში ხელმძღვანელობას. დეპეშა ერთიანათ სიცრუეში იჭერდა ბოლშევიკების ადგილობრივ ორგანოებს, რომელნიც სისტემატიურათ აცხადებდნენ, ჩვენ შეიარაღებულ გამოსვლაზე არც კი ვფიქრობთო.

ახლა ერთ სიცრუეში დაჭერილი ბოლშევიკები მეორე სიცრუეს იგონებენ: „კავკ. რაბ." ვერ ბედავს იმის უარყოფას, რომ ჩვენი გამოქვეყნებული დეპეშა მართლაც მათი გაგზავნილია. სამაგიეროთ, გვაბრალებს დეპეშის გადამახინჯებას, რის გამო თურმე მისი აზრი შეგვიცვლია. ჩვენ ვაცხადებთ, რომ დეპეშა დავბეჭდეთ სრულიათ იმ სახით, რა სახითაც იგი მივიღეთ და არავითარი აზრის გადამახინჯება არ ჩაგვიდენია. ბოლშევიკების სიცრუის ორგანო მოთხოვნილებას გვიყენებს:

„ჩვენ ვთხოულობთ დოკუმენტების სრულიათ გამოქვეყნებას" („კავკ. რაბ." № 214).

არ ვიცით ვის იგულისხმებს ამით მასხარათ, თავის თავს, თუ თავის [illegible] მკითხველებს. ერთი კი ცხადია: თუ გამოქვეყნება სურთ დეპეშის, ის ხომ მათი გაგზავნილია, ადგენ და გამოაქვეყნონ სხვა დეპეშებიც, რომელნიც პეტროგრადიდან თავიანთ ლიდერებს გაუგზავნეს. მაშინ საზოგადოება და მუშათა კლასიც გაიგებს, თუ რას აკეთებენ და რას ფიქრობენ ეს უბედური რევოლუციონერები, გაიგებს, რომ ისინი მუხანათურათ უკანიდან ხანჯლის ჩაცემას უმზადებენ თავისუფალ ხალხს, და მის რევოლუციონურ ორგანიზაციებს.

ბოლშევიკებს ცილის წამებასთან ერთად ძლიერ კარგათ აქვთ შეთვისებული [illegible] მორალი. ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ცნობა, თუ როგორ უმზადებდნენ ბოლშევიკები თფილისს იარაღით დასაპყრობათ და აქ ანარქიის გასაბატონებლათ. და დღეს ამის შემდეგაც კი, ფ. მ. გამომდგარა „ბრძოლაში" და ასეთ აშკარა ტყუილს სწერს:

„მენშევიკებმა და ესერებმა მოწოდებებითა და პრესის საშუალებით ხალხს ჩააგონეს, რომ ბოლშევიკები თფილისში აპირებენ გამოსვლას და სამოქალაქო ომის გაჩაღებას, ვინაიდან მათ სისხლი სწყუროდათ. კარგათ იცოდნენ, რომ არაფერი ამის მსგავსი არ იყო; მაგრამ ასეთი პროვოკაცია მათ სჭიროდათ თავიანთ შერყეულ ავტორიტეტის აღსადგენათ ხალხში".

ახლა მკითხველმა თვითონ განსაჯოს, ვინ ეწევა პროვოკაციას,—ის, ვინც პეტროგრადს პირდაპირი მავთულით არწმუნებს—თფილისს ავიღებთ იარაღით, რადგან გარნიზონის დიდი ნაწილი გვეხმარებაო, თუ ის, ვინც ამ პროვოკაციას აქვეყნებს?

აგრეთვე ფ. მ. თავის ეზუიტური რიგიანობით მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდნენ თურმე მენშევიკები სისხლის-ღვრის გამოწვევას, ხოლო ბოლშევიკები კი ამის წინააღმდეგი იყვნენ და ჯარს აჩერებდნენ. მაგრამ ფაქტებით დამტკიცების მაგიერ, მაგარ-მაგარი ლანძღვით გვიმასპინძლდება. ამიტომ ჩვენ მოვახსენებთ ამ [illegible] ავტორს, ვინ დაიჭირა სალდათის ტანისამოსში გადაცმული, ტყვიის-მფრქვევებს რომ მიეზიდებოდა არსენალისაკენ წითელ გვარდიელებისათვის დასახოცათ?—ბოლშევიკების ერთი ხელმძღვანელთაგანი.

ვინ იყვენ ჩასაფრებული სახლის სახურავებზე და გორაკებზე და უშენდენ ტყვიებს არსენალის მცველ წითელ გვარდიელებს? ბოლშევიკები. ვინ გახდა მსხვერპლი ამ სროლის? ჩვენი ამხანაგი ჯარისკაცი ვაშაძე. და აი, ეს მკვლელები ამ წრფელი სოციალისტის გამომძღვრიან და სისხლში ხელებ გასვრილნი სხვას სწამებენ სამოქალაქო ომის გამოწვევას.

ის ხალხი, რომელთა პირველი სიტყვა: „სამოქალაქო ომის გაჩაღება“ იყო, რომელნიც მხოლოდ სამოქალაქო ომში ხედავენ თავის მიზანს და დანიშნულებას, ახლა სხვას ახვევენ თავზე ამ ცოდვას?

რა არის ეს ცბიერობა, თუ იეზუიტობა? რა გასაკვირველია, რომ ასეთი ხალხი, რომელსაც მხოლოდ [illegible] მემკვიდრეობით უდგია სული, წითელ გვარდიას თბილისის მუშათა საუკეთესო ნაწილისგან შემდგარს, უდიერ სიტყვებით ამკობდეს მხოლოდ იმისთვის, რომ ეს უკანასკნელნი წესიერებას იცავენ და არ ესარჩლებიან სამოქალაქო ომის და ანარქიის მოციქულთ.

ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ადგილს ფ. მ. წერილიდან:

„მასვე მიუყვარს თავი [illegible] პირებს, მაზრის და ქალაქის მილიციონერებს, რომლებიც ძველ პოლიციელებს გარეგნობით ჩამოჰგვანან, ურევია იმათში რამდენიმე დაბრმავებული მუშები და მოწაფეები და ყველა ესენი მოიხსენიებიან „წითელ გვარდიის“ სახელით. ამ ბრბოს მიანდეს მოქალაქეთა პირადობა და ყოველგვარი ძალმომრეობის ჩადენა“.

და ახლა სწერენ ბოლშევიკები, რომელთაც თავი ისახელეს ყოფილი პოლიციელების [illegible], ბრბო ყოფილა ის მუშათა რაზმი, რომელიც ასეთი თავდადებით იცავს წესიერებას ქალაქში, ხოლო დიდათ „შეგნებული“ ყოფილან ისინი, ვინც კვირაში შვიდჯერ იცვლის თავის რწმენას და შეხედულებას, ხან ესერია, ხან მენშევიკი, ხან ბოლშევიკი, ხან უბრალო [illegible]. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ფ. მ. ჩვენ ამიტომ გვედავება პროვოკაციის ჩადენას, რომ იქვე თვით თავისუფლად ადგილს აძლევს მართლა პროვოკატორულ ფრაზებს. იგი განზრახ ხაზს უსვამს შემთხვევით არსენალის გარშემო ატეხილ ბრძოლაში მონაწილეთა ნაციონალურ შემადგენლობას და სწერს:

„რუსი სალდათები ერთი მხრით და ქართველი ჯარისკაცები და მილიციონერები მეორე მხრით ერთმანეთს უნდა შეებრძოლნენ“.

რა საჭირო იყო აქ რუსის და ქართველის მოტანა? განა საქმე აქ ეროვნებაშია? განა არ ესმის ფ. მ., რომ ამით იგი ცდილობს ეჭვი შეიტანოს ქართველი და რუსი უპირდაპირეს ურთიერთობაში, ესე იგი, ცდილობს თავის ფრაქციული ბრძოლის სამოქალაქო ომის გაჩაღება ნაციონალურ ნიადაგზე გადაიტანოს, რადგან შეუგნებელ მასსაში ამით შეიძლება წყლის ამღვრევა.

დასასრულ ფ. მ. პირდაპირ ასკვნის მენშევიკებზე: „ისინი გახდენ წმინდა ნაციონალისტური პარტია“.

ერთი სიტყვით, ჩვენ, ქართველები, თურმე [illegible] რუსეთისთვის, გავხდით ნაციონალისტური პარტია. აი ასეთ ბრალდებას, ასეთ გაშუქებას საკითხისას ეწოდება ნაციონალური შუღლის ჩამოგდება, ეწოდება ერთი შორის პროვოკაციის მოხდენა და ამ პროვოკატორობას დღეს ფ. მ. თავის შუბლიდან ვერ მოიშორებს.

პლეხანოვი და ბოლშევიკები

ადგილობრივ ბოლშევიკების „ბრძოლაში“ მთელი რიგი წერილებისა იბეჭდება შემდეგი სათაურით: „რევოლიუციონური ძალ-მომრეობა და ტერორი“. უპასუხისმგებლო მწერლები ახლა თავიანთ ანარქო ბლანკისტურ ტაქტიკის გასამართლებლათ მეცნიერული სოციალიზმის საუკეთესო დამცველ და რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტიის მამამთავარ გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვს იმოწმებენ და ამ სახით პლეხანოვს პლეხანოვითვე ამარცხებენ.

გზა დაბნეულმა ანარქო-ბლანკისტებმა განზრახ გადაიჩინეს და მარქსისტულ ლიტერატურიდან ციტატების მოყვანა დაიწყეს. ამით იმის თქმა უნდათ—თითქოს იმათ მარქსიზმთან კავშირი არ გაუწყვეტიათ და ისინი თავიანთ ტაქტიკას მეცნიერულ სოციალიზმზე ამყარებდენ. ყველა ის, რაც დიდებულმა მეცნიერმა გ. პლეხანოვმა თავის ცნობილ წიგნაკში „დიდი რევოლიუციის ასი წლის თავი“ აღნიშნა, სწორი და შეურყეველია. იგი ცნობილი მარქსისტია და ამ წიგნაკში მან საფრანგეთის რევოლიუციას ღრმა ანალიზი უყო და სასტიკათ გაამათრახა იმ დროის ბურჟუაზიული იდეოლოგია და ბურჟუაზიული მიდრეკილება. იქ ყოველგვარი ღრმა მარქსისტულია და ერთი სიტყვაც არ არის ბოლშევიკების ტაქტიკის გასამართლებელი. საუკეთესო მარქსისტი საუცხოვო დიალექტიკით, მან მარქსიზმის კვლევითი მეთოდი ღრმათ და სისწორით შეითვისა, რომლის ნიადაგზე სალკლდესავით სდგას და მარქსიზმისათვის არას დროს არ უღალატია.

თუმცა ზევით დასახელებული გაზეთის მესვეურნი იმავე წერილში, სადაც პლეხანოვის აზრებს იმოწმებენ, იმავე პლეხანოვს „ბანკირების დამცველისა და კონტრ-მეზვერავის“ სახელით ნათლავენ, მაგრამ მის მეცნიერული სოციალისტურ შეხედულების წინაშე მაინც დიდისაბით მუხლს იდრეკენ. დიახ პლეხანოვი დიდებული მეცნიერია და მას მეცნიერული სოციალიზმის დაცვაში და განმტკიცების საქმეში მთელ დედამიწის ზურგზე უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ანარქიზმისა და სინდიკალისტების თეორიების დამსხვრევაში. პლეხანოვის „ანარქიზმი და სოციალიზმი“ წიგნი საერთაშორისო პროლეტარიატის ლიტერატურაში საუკეთესო ნაწარმოებათ ითვლება. მისი სინდიკალისტების წინააღმდეგ კრიტიკა არაჩვეულებრივი ნაწარმოებია. და განა მარტო ძველი ანარქისტები და სინდიკალისტები, შეუდარებელმა მარქსისტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რუსეთის ახალი ტიპის ანარქო-ბლანკისტები—ბოლშევიკები და მათი ლიდერი ლენინი. ჯერ ისევ რუსეთის პირველ რევოლიუციის დროს მან ბოლშევიკების და განსაკუთრებით ლენინის წინააღმდეგ საუცხოვო წიგნაკი დასწერა: „თავდაცვიდან თავდასხმაზე“, სადაც იგი ლენინსა და მის მიმდევარ ბოლშევიკებს ანარქო ბლანკისტებათ ნათლავს და თავის ასეთ შეხედულებას მარქსიზმის ღრმა ცოდნაზე და მოსაზრებაზე ამყარებს. საჭირო იქნებოდა ადგილობრივ ბოლშევიკებს ეს წიგნაკი წაეკითხათ და იქიდანაც მოეყვანათ ზოგიერთი რამ თავიანთ სასარგებლოთ. და განა მარტო ამ წიგნაკში? დღითი-დღე ბოლშევიკების გაჩენისა გ. პლეხანოვმა სწორი დიაგნოზი დასვა და ბოლშევიკების წინააღმდეგ კრიტიკას მრავალი გამოკვლევები მოანდომა და ყოველგან იმას ამტკიცებდა, რომ ისინი ნამდვილი ანარქო-ბლანკისტები არიან. დღეს რუსეთის სინამდვილემ სისწორით გაამართლა პლეხანოვის შეხედულება.

ბოლშევიკები სავსებით მოშორდენ მარქსიზმს და ისინი ანარქო ბლანკისტების მორევში ჩაიძირნენ. რა ვუყოთ, რომ ისინი ახლა, სოციალ დემოკრატებს, ყველა მარქსისტებს კონტრ რევოლიუციონერებათ ასაღებენ და „ჭეშმარიტ სოციალისტებათ“ მხოლოდ თავიანთ თავი მოაქვთ. მათმა ლიდერმა ლენინმა კარლ კაუცკიც კი ყოფილ მარქსისტის სახელით მონათლა და ანარქო-ბლანკისტებს პროლეტარიატის მოღალატეთ მიაჩნიათ. მაშ რის ანარქისტები იქნებიან, თუ ყველა ისინი, რომლებიც მათ ანარქო ბლანკისტურ უტოპიას არ გაიზიარებს—ბურჟუაზიის მომხრეებს და კონტრ რევოლიუციონერებს არ უწოდებენ. ანარქისტი ბაკუნინი მარქსს ბურჟუაზიის იდეოლოგათ და ბისმარკის მაჩანჩალათ სთვლიდა. დეე ამით ინუგეშონ თავი და ჩვენ კი ვიტყვით, რომ პლეხანოვი მართალია, როცა საფრანგეთის რევოლიუციას ახასიათებს და აგრეთვე მართალია, როცა იგი ბოლშევიკებს ანარქო ბლანკისტებს უწოდებს.

დეკრეტი

სახალხო სამხედრო მმართველობის გაუქმების შესახებ ამიერ კავკასიაში.

1) სახალხო სამხედრო მართველობა ამიერ-კავკასიაში უქმდება. ყველა ის დაწესებულებები და ადგილები, რომლებიც ამ უწყების განკარგულებაში იყო, გადადის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების განკარგულებაში.

2) ის თანხა, რომელიც პირველ პუნქტში მოხსენებული უწყების შესანახად იყო გადადებული, დარჩეს უცვლელად, ეს თანხა შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების ხარჯთ აღრიცხვაში გადადის. რაც შეეხება ყოფილი მეფის ნაცვლის (ამ ჟამად ამიერ კავკასიის კომისარიატის) კანცელარიასთან არსებულ სამიჯნო განყოფილებას, მის შესახებ თანხად დარჩეს იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით გადადებული თანხა.

3) ეს დეკრეტი არ ვრცელდება საგანგებო სამოსამართლო ორგანიზაციებზე, რომლებიც არსებობენ ამიერ კავკასიის ზოგიერთ ადგილებში, (სახალხო სიტყვიერი სასამართლო), სანამ ასეთი სასამართლოების შესახებ საგანგებო კანონი არ იქნება გამოცემული.

4) დღემდე არსებული კანონის ყოველივე მუხლები და დებულებები, რომლებიც ეხებოდენ ამიერ კავკასიის სამხედრო სახალხო სამმართველოს, დღეიდან უქმდება.

5) ეს დეკრეტი ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

ამიერ კავკასიის კომისარიატის თავ-
ჯდომარე ე. გეგეჭკორი.
შინაგან საქმეთა სამინისტროს
კომისარი ა. ჩხენკელი.

ახალი ამბები

დღეს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. აირჩევა 50 რწმუნებული.

◆ დღეს, დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ქალაქის საბჭოს სოციალ დემოკრატიული ფრაქციის წევრთა კრება.

◆ **მოსალოდნელი გაფიცვა.** ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფ. კავშირი შემდეგს აცხადებს: „ორშაბათს 4 დეკემბერს განზრახულია ბეჭდვითი სიტყვის მუშათა საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ სტამბის მეპატრონეთა კავშირმა თავის ნებით გადასწყვიტა ორივე მხრის წარმომადგენლების მიერ შემუშავებული ოქმი და შეიტანა იქ არსებული ცვლილებანი. მის მაგიერ, რომ ხელი მოეწერათ ნამდვილ ოქმზე, სტამბის მეპატრონეთა კავშირის წარმომადგენლებმა მარტიროსიანცმა, ფარსადანოვმა და შახნაზიანცმა დაიჭირეს ეს ოქმი და ხელი მოაწერეს გადაწერილ ოქმზე და ასე წარმოუდგინეს შრომის კომისარს და მუშათა წარმომადგენლებს. ეს დროზე გაიგეს მუშებმა და ხელი არ მოაწერეს. მუშათა საბჭოს რწმუნებულთა კრებამ გადასწყვიტა, რომ უკეთუ მეპატრონეები ნამდვილ ოქმს ხელს არ მოაწერენ და 15 სექტემბრიდან ტარიფის თანახმად არ მისცემენ ანგარიშს, ორშაბათს, 4 დეკემბერს, თბილისის ბეჭდვითი საქმის მუშები საყოველთაო გაფიცვას გამოაცხადებენ.

◆ **სასურსათო საკითხის გარშემო.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მოხსენების თანახმად, მთელი თბილისის გუბერნია და კერძოდ ქალაქი თბილისი სურსათის მხრით უნუგეშო მდგომარეობაშია. ამის მიზეზია მიმოსვლის არევ დარევა, რაც აფერხებს სურსათის გადატან-გადმოტანას. გარდა ამისა გუბერნიის ერთ ნაწილს, რომელსაც მოეპოვება ზედმეტი პური, არ უნდა დაუთმოს იგი მეორე ნაწილს. მშვიდობიან დროისა და ამ წლის ცნობების მიხედვით თბილისის გუბერნიისათვის საჭიროა 10 მილიონამდე ფუთი პური და 30 მილ. სათესლე ხორბლეულის შემოტანა. ჯერ კიდევ ზაფხულში საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა დაადგინა გამოიანგარიშოს პურის რაოდენობა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მისი სისწორით განაწილება. მაგრამ ეს დადგენილება ვერ განხორციელდა, ვინაიდან ადგილობრივ არ იყო მოწყობილი მთავრობის ორგანოები. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ვერსად ვერ შეიძინა 8 მ. ფუთი ხორბალი. მხოლოდ გორის რაიონმა და ახალციხის მაზრამ დაუთმო ზედმეტი ხორბალი დაწესებულ ფასებში. მცხოვრებნი კი ამ დროს 40—50 მ. აძლევდენ ფუთ ხორბალში. გარდა ამისა ბევრ ადგილას მიყვეს ხელი არაყის გამოხდას, ამიტომ გლეხები სრულებითაც არ იჩქარიან პურის გაყიდვას. ბორჩალოს და გორის მაზრაში და ალაზნის რაიონში გლეხები მალავენ ხორბალს, რომ შეძლება მიეცეთ არაყი გამოხადონ.

◆ **ვაჭრების პასუხისგებაში მიცემა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა პასუხისგებაში მისცა შემდეგი ვაჭრები: გ. მ. აბშარუმოვი და გ. ს. ჯინინოვი (საქონლის განსაზღვრულ ნორმაზე ზევით გაყიდვისათვის): ვ. ა. სარიევი, ა. ა. გუტინოვი, მნაცაკანოვი, კოკიელოვი (საგუბ. სას. კომიტ. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის) ლოლიძე, ეკულოვი, ბებურიშვილი (ნიხრის ზევით შეშის გაყიდვისათვის); რიბენოვი (ნიხრის ზევით ყველის გაყიდვისათვის).

◆ **ყუბანის ოლქის რესპუბლიკის წარმომადგენელი.** გუშინ თბილისში ჩამოვიდა ყუბანის ოლქის რესპუბლიკის წარმომადგენელი სისლი ამიერ-კავკასიის კომისარიატთან კავშირის დასაჭერათ.

◆ **მომგებიანი ლატარია.** ქართველ მსახიობთა კავშირის წარმომადგენელს შალვა დადიანს, თბილისის დრამატიულ საზ-ს წარმომადგენელს სოლომონ ახვლედიანს და ქართულ უნივერსიტეტის წარმომადგენელს პრ. ივ. ჯავახიშვილს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ნება დართო ქართულ თეატრის ასაშენებლათ და ქართულ უნივერსიტეტის თანხის გასაძლიერებლათ ამ ერთი წლის განმავლობაში მოაწყონ ხუთი მილიონის მომგებიანი ლატარია.

◆ **სამოსახლო მიწების დანაწილება.** დღეს, ვაკეში ოჯახობით იძლევიან სამოსახლო ადგილებს. მსურველები დღის 2 საათზე უნდა გამოცხადდენ.

◆ **ისტორიული კონცერტი.** დღეს სახელმწიფო თეატრში აღმასრულებელ კომიტეტის კულტურულ განმანათლებელი განყოფილება მართავს ისტორიულ კონცერტს.

◆ **კულაშიდან** (ქუთაისის მაზრა) გვატყობინებენ: მცხოვრებლებზე შეიარაღებულ ავაზაკების თავდასხმით სარგებლობენ ბნელი ძალები და ცდილობენ გამოიწვიონ სისხლის ღვრა ნაციონალურ ნიადაგზე.

◆ **სურსათი.** 29 ნოემბერს თბილისში სურსათი არ შემოსულა. 30 ნოემბერს და 2 დეკემბერს შემოიტანეს 8 ვაგონი ფქვილი, 3 ვაგონი ხორბალი, 2 ვაგონი კარტოფილი და 1 ვაგონი გამხმარი თევზი.

◆ **სამგლოვიარო წერილი** მივიღეთ ჯარისკაც ივ. ნაკაშიძისაგან ლიომიდე მდინარაძის გარდაცვალების გამო.

კრებები და მიტინგები.

ხვალ 4 დეკემბერს საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში მოხდება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა.

— დღეს, სად. 5 საათზე, ქალთა კურსების შენობაში (ანასტასიის ქ. № 22) დანიშნულია მორიგი კრება საფილოსოფიო და საეკონომიო წრის წევრებისა. ამხ. მ. ხუნდაძე გააკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. დასწრება შეუძლიათ ყველა სტუდენტებს.

— ხვალ, დილ. 10 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია მეეზოვეთა საერთო კრება.

— ხვალ, საღამოს 5 საათზე, კოლექტივის ბინაზე შესდგება მე-2 რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— ხვალ, საღამოს 8 საათზე შესდგება პარიკმახერ-დალაქ მუშების კრება (პეტრე დიდის ქუჩა № 18). დღის წესრიგი: 1) მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრთა არჩევა; 2) პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს წევრთა არჩევა; 3) მიმდინარე საქმეები.

— დღეს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღიური წესრიგი: 1) მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრების არჩევანი, 2) პროფესიონალურ კავშირების საბჭოს წევრების არჩევანი და 3) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

— დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წევრთა საგანგებო სხდომა. დღის წესრიგი: 1) პროფესიონალურ კავშირთა საოლქო კონფერენცია; 2) მომრიგებელი კამერები; 3) პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდება; 4) ბეჭდვითი საქმის მუშათა გაფიცვა; 5) ხელოსანთა გამგეობა; 6) შრომის ბირჟისა და პროფესიონალურ კავშირთა ურთიერთობა.

-- ხვალ, საღამოს 6 ს., ავჭალის აუდიტორიაში დანიშნულია ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

ბაქო. მენშევიკებმა მიიღეს 5660 ხმა, კადეტებმა—9054, ესერებმა 18,769, დაშნაკელებმა 20 314, ბოლშევიკებმა 22,285, ს.-ფედერალ. 456, სომეხ. სახ. პარტიამ 1507, ნაც. დემოკრ. 145, სახ. სოც.—116, მუსულმანთა პარტია „მუსავატმა“ 21762, ს.-დ. გუმმეტმა—128, მუსულ. სოც. ბლოკმა 203, ამიერ-კავკასიის მუსულ. 3, რუსეთის მუსულმანებმა 7850, სიონისტებმა—2081.

სიღნაღის მაზრაში არჩევნები დამთავრდა. მენშევიკებმა მიიღეს 40747 ხმა, კადეტებმა—105, ესერებმა—3077, დაშნაკელებმა—887, ბოლშევიკებმა 1391, ს.-ფედერალისტებმა 2594, სომხის სახ. პარტ.—2, ეროვნულ დემოკრატებმა 632, მუსულმანთა სოც. ბლოკმა—3, რადიკალ დემოკრატებს 1202.

გომის რაიონში (გორის მაზრა) მენშევიკებმა მიიღეს 5370, დაშნაკელებმა 2, ბოლშევიკებმა—1, ს.-ფედერალისტებმა 198, ეროვნ. დემოკრ. 72.

კიდევ სხვადასხვა დაწესებულებების შესახებ.

ბიუროკრატიული მექანიზმი განაგრძობს თავის ძველებურ „საქმიანობას“ სხვადასხვა დაწესებულებებში. ეს საქმიანობა პირველ ყოვლისა გამოიხატება ნათლიმამობით და ნაცნობობით ადგილების დარიგებაში და ადმატებებში ამა თუ იმ პირებისა მათ წინანდელი „ნამსახურის“ ჯილდოთ. ახლა ვიკითხოთ: არის საქმისათვის საჭირო წარჩინება-ადმატებები თუ არა? დიახ, არის, მაგრამ ყველა დაწესებულებაში არ არის ეს საჭირო ამ ჟამათ. ვერავინ ვერ იტყვის წინააღმდეგს, როდესაც ბუხგალტერის ადგილი თავისუფლდება ვთქვათ ხაზინაში, და ერთის ამ ადგილზე დანიშვნით რამოდენიმე პირი სამსახურის კიბეზე აიწევს, მაგრამ როდესაც ადმატებებზე ლაპარაკობენ ისეთ დაწესებულებაში, როგორიც არის ამიერ კავკასიის გლეხების მიწების მომწყობი კომისია, რომლის მუშაობაც შეაჩერა ახალმა მთავრობამ და შტატები კი დასტოვა მხოლოდ მასალების დასამზადებლათ მიწის საკითხის შესახებ,—სწორეთ რომ გასაკვირალია. ვინც არ იცნობს ამ შტატებს (და მე დარწმუნებული ვარ, რომ მას თითქმის არავინ არ იცნობს, რადგან მისი „მოღვაწეობა“ მარტო მთავრობისათვის იყო საჭირო), იტყვის: თუ დაწესებულებას დატვირთული აქვს რამე საქმე, ალბათ, ყველა ადგილებიც საჭირო იქნება. მაგრამ ეს არ არის ასე. შემადგენლობა ამ შტატისა ასეთია: მეხუთედი მოსამსახურეებისა არიან ეგრეთ წოდებულნი უფროსი და უმცროსი ხელმძღვანელი საქმისა (стар. и млад. производители работъ), დანარჩენი ოთხი მეხუთედი არიან მიწის მზომელნი. პირველნი აწარმოებდენ საქმის იურიდიულ მხარეს, მეორენი—ტეხნიკურს. მაგრამ როდესაც სოფლად მუშაობა შესწყდა, აბა რაღა იურიდიული საკითხები იქნებოდა გასარჩევი. ამისდა მიხედვით ორმა პირმა თავიც დაანება სამსახურს, რადგან მეტ ბარგათ გრძნობდენ თავს. მართლაც, მასალების შეგროვება და რუკების შედგენა ტეხნიკების (მიწის მზომელების) საქმეა და თუ სტატისტიკური ცნობების შემუშავებაში საჭირო იქნება დახმარება, ამისთვის საკმარისია რამდენიმე კაცი. აი ამ მოსაზრებისდა მიხედვით დასახელებულ დაწესებულების აღმასრულებელმა კომიტეტმა (ამნაირი კომიტეტები ყველა დაწესებულებებში არსებობს „ჩინოვნიკების“ კავშირის მეთაურობით) წარუდგინა სათავეში მყოფ თავისი გადაწყვეტილება, რომ განთავისუფლებულ ადგილებზე არავისი დანიშვნა არ არის საჭირო, რადგან საქმის ვითარება არ მოითხოვს ამას.

მაგრამ სათავეში მდგომმა ძველი წესების მოტრფიალე პირებმა თავისი ჰქნეს და რამოდენიმე კაცი დაანიშვნიეს (ადმატება მისცეს) ახალ მთავრობას, რომელიც, ალბათ, დაიჯერებს, რომ ეს კეთდება საქმის სასარგებლოთ. აი როგორ საქმიანობენ დღემდის აულაგმავი დაწესებულებათა მესვეურნი. ძველი ბიუროკრატები თავის ადგილებზე არიან და კარგათ გრძნობენ თავს; რაც უნდათ იმას აკეთებენ და მათ, როგორც ფრანგული ანდაზა იტყვის, „არაფერი დაივიწყნიათ და არც არაფერი უსწავლიათ“.

ეს ერთი მაგალითია და რა ხდება სხვაგან, ამის დანახვაც ადვილია თუ ზომები იქნება მიღებული. საჭიროა დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნენ ძველი მოთავეები და მათი დამქაშები.

ივანე მეხხი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

23 ნოემბერს [illegible] „რეჩი“-ს, „ბირჟევიე [illegible]“ და სხვა გაზეთების რედაქციებში [illegible] და წარუდგინეს ორდერი [illegible] ამ გაზეთების დახურვის შესახებ და განაცხადეს, რომ იგინი არავის ნებას არ მისცემენ დაბეჭდონ რომელიმე გაზეთი. 25 ნოემბერს გარდა ბოლშევიკების გაზეთებისა მარტო „დელო ნაროდა“ გამოვიდა.

სრულიად დაიხურა ყაზახთა გაზეთი „ვოლნოსტი“, რადგან სხვა სათაურით გამოცემა შეუძლებლათ სცნეს.

პოლტავიდან იტყობინებიან, რომ იქაც ყველა გაზეთები დაუხურავთ.

სახალხო სოციალისტთა პარტია აცხადებს: „სმოლნი ინსტიტუტის ბრძანებით ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნაროდნოე სლოვო“ ორ უკანასკნელ კვირის განმავლობაში სამჯერ დაარბიეს შეიარაღებულმა პირებმა. გაზეთი მესამე სათაურით გამოდის, როგორც ეს თვითმპყრობელობის დროს იყო. პირველად რედაქცია პირ-წმინდათ დაარბიეს: დაამტვრიეს მაგიდის უჯრები, ხელთნაწერები დაუფხრიწეს, ფულები და სხვა ძვირფასი ნივთები მოიპარეს, უკანასკნელათ რედაქტორი დაიჭირეს და სმოლნში წაიყვანეს“.

„ნოვაია ჟიზნი“ აცხადებს: „მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო რედაქცია იძულებულია გაზეთის გამოშვება რამდენიმე დღით შეაჩეროს. მიზეზი ის არის, რომ გაიფიცენ „ნოვოიე ვრემია“-ს მუშები, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა, გაფიცვა დაიწყო ბოლშევიკების მიერ სტამბის კონფისკაციის გამო, სადაც თავის ორგანოს ბეჭდვა უნდათ, მუშები თანახმანი არიან ჩვენი გაზეთის გამოშვების, მაგრამ ეშინიათ ბოლშევიკების, რომ იარაღით ხელში ძალას დაატანენ დაბეჭდონ მათი გაზეთები, და მით უნებურ შტრეიკბრეხერებათ გახდენ. ჩვენ არა ერთხელ მივაქციეთ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის ყურადღება, რომ სტამბის კონფისკაცია პირდაპირ ჩვენი გაზეთის წინააღმდეგ გალაშქრებაა; ჩვენ ვურჩიეთ ებეჭდათ თავიანთი გაზეთი ისე, რომ სხვისი ინტერესები არ დაერღვიათ, ჩვენ არ დაგვიჯერეს. რადგან იმდენი გაბედულობა ვერ გამოიჩინეს, რომ აშკარათ გამოსულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ, ზურგიდან თავს დაგვესხნენ, მათ იდეურ მოწინააღმდეგეს. მათ შეასრულეს თავისი. ჩვენ ჩუმათ ვართ.

გაუმარჯოს სიტყვის თავისუფლებას!“

— ამ დღეებში ლენინს შემდეგი წერილი მიუღია: „ჩვენ ქალაქ პეტროგრადის შეგნებული ტერორისტები მოგეთხოვთ თქვენგან, რომ 18 ნოემბრამდე თქვენ უარი სთქვათ სახალხო კომისარობაზე და გაიხვიდეთ პეტროგრადიდან. მთელი პეტროგრადის პარტიის კომიტეტის დადგენილებით, რიცხვით 107 კაცი, უკეთუ ჩვენ დადგენილებას არ დაემორჩილებით, იძულებული ვიქნებით გაგაქროთ აქედან თუნდაც ამისთვის სიცოცხლის გაწირვა დაგვჭირდეს. ყუმბარები მზათ გვაქვს. ჩვენ, შეგნებული ტერორისტები მთელი წლობით ვებრძოდით თვითმპყრობელობის ბოროტებს და იმათ წინაც არ დავიხევთ, რომლებიც ეხლა ანგრევენ თავისუფალ რუსეთს. პასუხი თქვენ გაზეთ „პრავდა“-ში მოათავსეთ არა უგვიანეს 17 ნოემბრისა, ვეცდებით, ამხანაგო ლენინო, ამ დღეებში კიდევ გაგაფრთხილოთ. გთხოვთ გადასცეთ ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, კრილენკოს და სხვებს, რომ ამ დღეებში იმათაც გავაქრობთ აქედან. ამ დღეებში ჩვენი ამხანაგები მთავარ ბანკში მიდიან. ამ დღეებშივე გავაქრობთ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის ზოგიერთ კომისრებს, რომლებიც ქალაქის დაწესებულებებში არიან. კმარა სიტყვები. დროა საქმეს შევუდგეთ“.

— მოსკოვში სუსოკოლოვის ფაბრიკის მუშებში მენშევიკები ქუჩაში აკრავდენ დამფუძნებელ კრების საარჩევნო პლაკატს № 4. გაიგო თუ არა ეს ამბავი ქარხნის კომიტეტმა, რომელსაც უმთავრესათ ბოლშევიკები შეადგენენ, დაიჭირა ეს მუშები, გამოიანგარიშა რამდენი დრო დაჰკარგეს მათ პლაკატების გაკვრაზე და სამუშაო ქირიდან გამოუქვითეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთი კვირაა სათბობ მასალის უქონლობის გამო ქარხანა აღარ მუშაობს. აგრეთვე ისიც, რომ ბოლშევიკ მუშებს არავინ ხელს არ უშლიდა გაეკრათ ქუჩებში თავიანთი პლაკატები № 5 და არც არავის მათთვის სამუშაო ქირა არ დაუქვითია დაკარგულ დროისთვის.

— რუსეთის ს. დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი (გაერთიანებული) აცხადებს პარტიის ყველა წევრთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ცენტრალური ორგანო „რაბოჩაია გაზეტა“ სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის ძალდატანებით დახურეს.

მთელი რუსეთის და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე სამარცხვინო ბეჭედს ვასვამთ ამ ყოვლად შეუწყნარებელ აქტს ძალადობისას, რომელიც მოახდინეს ეგრეთ წოდებულმა სოციალისტებმა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთზე და მუშათა პარტიაზე, რომლის ორგანოც ეს გაზეთია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი (გაერთიანებული) მოუწოდებს პარტიას პროტესტი გამოაცხადოს ამ აქტის შესახებ, რომ თვალები აუხილოს მუშათა მასას რა რეჟიმი დაამყარა რუსეთში ეგრეთ წოდებულმა „მუშათა და გლეხთა მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერობამ“. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: გამოსცეს ახალი ცენტრალური ორგანო „სხივი“ („ლუჩ“) რედაქტორებად დანიშნოს ამხ. გორევი, დანი და ერლიხი.

28 ნოემბერს როსტოვის საოლქო რევოლიუციონურ კომიტეტში მოხდა დახურული კრება გენ. პოტოცკის მიერ მოტანილ ყაზახთა მთავრობის პასუხის განსახილველად შეთანხმების შესახებ. ამ კრებაზე კომიტეტი ერთ აზრს ვერ დაადგა.

24 ნოემბერს გენერალმა კალედინმა დონის როსტოვში გამოსცა ბრძანება, რომლითაც აცხადებს, რომ დაუყონებლივ შეუდგნენ ყველა სათადარიგო ჯარისკაცთა სამშობლოში გაგზავნას ახალ განკარგულებამდე. როსტოვის ბრიგადის უფროსმა პოდპოლ. სკურდემ ეს ბრძანება სისრულეში არ მოიყვანა, რადგან მას პოლიტიკურ მომენტთან აქვს დამოკიდებულება.

როსტოვიდან სრულიად რუსეთის რკინის გზათა კავშირმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა: 28 ნოემბერს ნაშუადღევის ორ საათზე კონტრ-რევოლიუციონერები დანებდნენ. და გასცეს ყაზახთა მთავრობის გამოგზავნილი გენ. პოტოცკი. მოძრაობა აღდგენილია.

ამიერ-კავკასიის მეთუთუნეთა კავშირის პირველი კრება

26 ნოემბერს, ქ. თფილისში შესდგა ამიერ-კავკ. მეთუთუნეთა კავშირის პირველი კრება. გამოცხადდნენ დელეგატები გურიიდან, აჭარიდან, კაბალიდან, შრომიდან და მიხაილოვიდან. კრებას დაესწრო ქ. კანდელაკი (კოოპერატორი) და სხვა დაინტერესებული პირებიც.

პირველად მოხსენება გააკეთა მირიან ბუკიამ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თითქმის ამიერ კავკასიის ყველა კუთხეებში, სადაც კი თუთუნი მოდის ჩარჩების წყალობით მესამედ ფასს არ იღებდნენ მეთუთუნენი. ამ ოთხი თვის განმავლობაში მან ჩამოიარა ყველა ზემო ჩამოთვლილი კუთხეები და დაარსებია კავშირები, რასაც ხალხი აღფრთოვანებით შეხვედრია და წევრებათაც ჩაწერილან. მოუწოდა დამსწრეთ შეკავშირებისაკენ, რაც უტყუარი თავდები იქნება გამარჯვებისა.

კრებამ შეიმუშავა შემდეგი დღის წესრიგი: მოხსენებები ყველა კუთხიდან, ფორმა ახალი ორგანიზაციისა, დაიკეცოს თუთუნი თუ არა, ცენტრალური ბიუროს არჩევა და სხ. მიმდინარე კითხვები.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მართლადაც ჩალის ფასად ყიდდენ დღემდე თურმე მეთუთუნენი თუთუნს, ლაგოდეხში მაგალითად ყოფილა შემთხვევა ფუთი თუთუნი ექვს აბაზათ გაყიდულა. ლაგოდეხში, გასულ წელში გაუყიდიათ 30—40 მ., ხოლო გურიაში კავშირის წყალობით გაყიდულა ფუთი 60 მან. ლაგოდეხის რაიონში დაახლოვებით მოდის 100,000 ფუთი თუთუნი, არსებობს ახლად დაარსებული კავშირი, რომელსაც ჰყავს ათასი წევრი.

ქიზიყში დაახლოებით მოდის 70,000 ფუთი თუთუნი. ახლად დაარსებულ კავშირს ჰყავს ათასამდე წევრი. აჭარაში მესამე-მეოთხე წელია, რაც თამბაქოს მოყვანა ფართოდ დაუწყიათ. ამ ჟამად კი, იშვიათია ისეთი მოსახლე კაცი, რომ 10—15 ფუთამდის არ ქონდეს გასაყიდი. მესამე თვეა, რაც კავშირი დაარსდა და ჰყავს 2,000 წევრი. ქვემო და ზემო აჭარას წელს ექნება გასაყიდი 30,000 ფუთი თამბაქო.

გურიაში ორი წელიწადია, რაც კავშირი არსებობს, ჰყავს 2,000 წევრი. თამბაქო მოდის 15,000 ფუთამდე, ართვინში მოდის 4,000 ფუთი.

ორგანიზაციის ფორმას და საერთოდ ამ კავშირების შესახებ მოხსენებას აკეთებს კოოპერატორი ქ. კანდელაკი და ამტკიცებს, რომ ასეთი კავშირები დიდ დახმარებას გაუწევენ წვრილ მწარმოებელ სოფლის მეთუთუნე მუშებს, მას შეეძლია ახლო მომავალში თავისი საკუთარი თუთუნის ქარხანაც გახსნას და ეს არაც ძნელი განსახორციელებელი არისო. ის მეთუთუნეთა კავშირები, რომლებიც დაგიარსებიათ ამა თუ იმ კუთხეში, ჯერ ჯეროვნით იმავე წესდებით დარჩესო. ხოლო ამიერ-კავკასიის მეთუთუნეთა კავშირისათვის უნდა გამომუშავდეს საერთო წესდება, რომლის ძალით მეთუთუნეთა კავშირს უფლება მიეცემა საჭიროების დროს მსხვილ ბანკებიდან სესხი აიღოსო და სხვა. წარმომადგენლებმა ერთი მეორეში პირობა უნდა შეკრან, რომ ცენტრალური გამგეობის, ანუ ბიუროს გარეშე თამბაქო არ გაჰყიდონ, რომელიც უნდა აირჩიოს ეხლანდელმა კრებამ და სხვა. კრებამ მიიღო ქ. კანდელაკის წინადადება და აირჩია შვიდი კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელიც გამოიმუშავებს ქ. კანდელაკის დახმარებით შესაფერ წესდებას და წარუდგენს ამიერ კავკასიის მეთუთუნეთა კავშირების კრებას დასამტკიცებლათ. ბიუროში აირჩიეს შემდეგი პირები: მირიან ბუკია, ნიკ. ნადირაშვილი, ხაფიზ ბეგ სურმანიძე, სტ. ბაადაშვილი, იოს. გაჩნაძე, დ. კალანდაძე, დ. ს. თავართქილაძე. კრებამ კავშირების მოსაწყობად და ხელმძღვანელად აირჩია მირიან ბუკია.

კრებამ აუცილებელ საჭიროდ დაინახა თამბაქოს დაკეცვა, რომ უფრო კარგი ფასი დაურჩეს.

მუშა ხელის სიძვირის და ფულის კურსის დაცემის გამო, კრებამ გამოიმუშავა შემდეგი დროებითი ფასი: დაკეცილი I და მე-II ხარისხის ფუთი 260 მან., მე-III-ე და მე-IV-ე ხარისხის—150 მან. დაუკეცილი განურჩევლათ ხარისხებისა 230 მან.

საპროცენტო გადასახადების შესახებ ყრილობამ დაადგინა:

გაყიდვისთანავე თვითოეული მწარმოებელი ვალდებულია დაჰტოვოს კავშირში მანეთზე ერთი კაპეიკი, რომელიც მოხმარდება როგორც მიმდინარე ხარჯებს, ისე ცენტრალური ორგანიზაციის გამაგრებას. ეს საპროცენტო გადასახადი ვრცელდება მყიდველებზედაც, რის აღებას იკისრებს თვით ცენტრალური ბიურო.

აქ მოყვანილი ფასები არ ვრცელდება სოხუმის რაიონში, რადგანაც იქ ჯერ კავშირი არ არსებობს და თამბაქოც იქაური მეტი ღირს.

ლია.

მუშათა შენიშვნები

ამხანაგ მუშებს.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრება კლასთა ბრძოლაა, ყოველი კლასი თუ წოდება ცალ ცალკე, თავიანთ პარტიებში, თუ ჯგუფებში არიან შემოკრებილნი. ყველა ამათ აქვთ თავიანთი ორგანოები, რომელიც მათ ინტერესებს იცავს. გაზეთი ხომ ცხოვრების სარკეა, ამიტომ მასში იხატება იმ კლასის ცხოვრება, რომელიც მის გარშემოა შემოკრებილი. გაზეთი აშუქებს და არკვევს ყოველივე იმ კითხვებს, რომელიც ამ კლასს უყენებს ცხოვრება გადასაჭრელათ.

ჩვენც, ქართველი მუშებიც, რამოდენიმე წელია შემოვკრებით სოც.-დემოკრატიის დროშის ქვეშ, შევქმენით საკუთარი პარტია, დავარსეთ საკუთარი სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო.

თუ რა დიდი წვლილი მიუძღვის ამ პარტიას და მის ორგანოს ქართველი მუშების და საზოგადოთ დემოკრატიის გათვითცნობიერებაში, ამის დამტკიცებას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ეს მომავლის საქმეა.

მხოლოდ ერთს კი ვიტყვით, რომ ჩვენი, მუშათა გაზეთები, ყოველთვის პირნათლად ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას და ჯერ კიდევ შავბნელ რეაქციის დროს გაზეთი ერთათ ერთი საშუალება იყო, საიდანაც ვერკვეოდით ჩვენს საჭირბოროტო კითხვებში.

მხოლოდ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მუშათა გაზეთებს ერთი ნაკლი თან ახლდა. ეს არის, რომ მუშათა ცხოვრებიდან ცნობები ნაკლებათ იბეჭდებოდა.

მუშათა გაზეთი მუშათა მოძრაობის სარკე უნდა იყოს, აქ უნდა იბეჭდებოდეს მუშათა მოძრაობიდან წერილები და ამის საშუალებით უნდა შეგვეძლოს ჩვენ გავიგოთ, თუ სად როგორია მუშათა მოძრაობა. აგრეთვე ეს წერილები მისცემს საშუალებას ყველას, ვინც მოინდომებს მუშათა მოძრაობის შესახებ რაიმე გამოკვლევის დაწერას, მას კარგ მასალათ გამოადგეს. მაგრამ, როგორც ვთქვით, სამწუხაროთ, მუშათა მოძრაობიდან წერილები ნაკლებათ იბეჭდება.

მერე, ვისი ბრალია ეს?

ვინ არის ამაში დამნაშავე? რა თქმა უნდა, არა გაზეთის ხელმძღვანელები, არამედ დამნაშავე ვართ ჩვენ, თვითონ მუშები. ჩვენ არა ერთხელ წაგვიკითხავს გაზეთების მოწოდება, რომ მოგვეწოდებინა მუშათა ცხოვრებიდან ცნობები, მაგრამ ამ მოწოდებამ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო.

ამხანაგებო! საჭიროა შემოვკრბეთ ჩვენი გაზეთის გარშემო. საჭიროა მას მუშათა ცხოვრებიდან მივაწოდოთ ცნობები, საკუთარი შენიშვნები ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ეს სისრულეში იქნეს მოყვანილი?

აქ საჭიროა ისეთი ნაბიჯები გადავდგათ, როგორც ქუთაისის მუშებმა გადადგეს. ყოველ პროფესიაში უნდა გავიჩინოთ პასუხისმგებელი კორესპონდენტები. აგრეთვე პროფესიონალური კავშირის გამგეობებმა უნდა აირჩიონ ისეთი პირები, რომლებიც ცნობებს მიაწვდიან რედაქციას პროფესიონალური მოძრაობიდან.

ეს პრაქტიკული ნაბიჯი თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ გაზეთს მივაწოდოთ მეტი ცნობები მუშათა მოძრაობიდან.

საჭიროა აგრეთვე მუშებმა ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის შესახებ გაზეთის საშუალებით თავიანთი აზრი გამოსთქვან.

წერა კითხვის მცოდნე მუშა, რომელიც კრებაზე რომელიმე საკითხს შეეხება, თავისი აზრის გამოთქმას ისეთი მუშა წერითაც შესძლებს, შენიშვნას დაწერს. საჭიროა ასეთი პატარა შენიშვნების წერაც.

მაშ, დავეხმაროთ, ამხანაგებო ჩვენს გაზეთს ამ მხრითაც.

ი. ნატაშვილი.

ზემო-ქართლის გლეხთა საბჭოების ყრილობა.

ზემო-ქართლის გლეხთა საბჭოების ცენტრის მიერ 8 ნოემბერს ქ. ხაშურში მოწვეულ იქნა მთელი საბჭოების დეპუტატების ყრილობა. ყრილობას დაესწრო ათი საზოგადოების: ქვიშხეთის, სურამის, იტრიის, ხაშურის, ოსიაურის, ხცისის, ალის, ოქონის, მოხისის და დირბის დეპუტატთა მთელი შემადგენლობა, რიცხვით 213 კაცი.

ყრილობის დღიურ წეს-რიგში წამოყენებული იყო შემდეგი კითხვები: ზემო-ქართლის სახალხო საბჭოების მნიშვნელობა და მათი დამოკიდებულება რევოლ. ორგანიზაციებთან; დამფუძნებელი კრება და საბჭოების როლი არჩევნების კამპანიის დროს; საბჭოები და სოციალ-დემოკრატ. პარტია; პრეზიდიუმის მოხსენება; ოსიაურის საკითხი; კოოპერატივები; იარაღის საკითხი და მიმდინარე კითხვები.

ყრილობის პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ დელეგატების უპირველეს ყურადღებას იპყრობს დამფუძნებელი კრების არჩევნების კამპანია და ამ არჩევნების დროს სახალხო საბჭოების, როგორც სოფლის მოწინავე ავანგარდის, როლი და მისწრაფებანი. ყრილობამ გამოსთქვა რა სურვილი დამფუძნებელ კრების არჩევნებში მხურვალე მონაწილეობისა სოციალ დემოკრატიასთან ხელი ხელ ჩაკიდებული, დაადგინა იკისროს ხელმძღვანელობა არჩევნების წესიერათ მსვლელობის ნიადაგზე და საარჩევნო პლატფორმათ მიიღო № 1 თავმჯდომარე კითხულობს სოც.-დემოკრატ. (მენშევიკების) მიერ წამოყენებულ სადეპუტატო კანდიდატთა სიას. მუშათა პარტიის სახელოვანი ბელადების: ნ. ჟორდანიას, ჩხეიძის, წერეთლის, ჩხენკელის და რამიშვილის გვარების გაგონება დაუსრულებელ აღფრთოვანებას და ტაშს იწვევს დეპუტატთა შორის.

ამის შემდეგ ამხანაგები ნიკიფორე იმნაიშვილი და ნიკო სიხარულიძე აკეთებენ ორ მოხსენებას, პირველი „სახალხო საბჭოები და მათი დამოკიდებულება რევოლიუციასთან“, მეორე „სოციალ დემოკრატიის როლი სოფლათ და სახალხო საბჭოების როლი დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიის დროს“. ყრილობამ გულდასმით მოისმინა მოხსენებანი, გამოიტანა შესაფერი რეზოლიუციები და ერთხელ კიდევ შეჰფიცა მუშათა პარტიას თავისი ერთგულება. საჭიროთ ვცნობთ მოგვყავს აქ ერთი დეპუტატის შემდეგი მიმართვა ყრილობისადმი: „ხალხო! ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ ვის უნდა მივსცეთ ჩვენ, სოფლის მუშა ხალხმა, ჩვენი ხმა. ყველასათვის აშკარაა, რომ მუშამ მუშას უნდა მისცეს მხარი და მუშასთან უნდა გასწიოს საბელი. ჩვენ მარტო მუშებთანა გვაქვს საქმე, მუშებთან უნდა ვიაროთ, მუშების პარტიას უნდა მივსცეთ ჩვენი ხმა. მუშებთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ, ან დავიღუპოთ, ან გავიმარჯვოთ. ვინც მუშათა პარტიას უღალატებს, მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს სოფლის მშრომელთა ოჯახში. გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატებს! გაუმარჯოს პირველ ნომერს“! დაამთავრა ჭაღარა შერეულმა გლეხმა. მისმა წრფელმა და სადა სიტყვებმა აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრეთა შორის და მთელი ყრილობის მქუხარე გამოძახილმა „გაუმარჯოს, გაუმარჯოს“-ით დარბაზი შეარყია.

თავმჯდომარე დაწვრილებით უხსნის ყრილობას დამფუძნებელი კრების არჩევნების სისტემას და აცნობს ტექნიკურ მხარეებს. მოკლე შეკითხვებისა და ზოგიერთა ახსნა-განმარტების შემდეგ, რომელიც თვით ყრილობის წევრებმა წამოაყენეს, თავმჯდომარე მოუწოდებს ყრილობას მოისმინოს საბჭოების ცენტრის პრეზიდიუმის მოხსენება საბჭოების მოქმედების ისტორიიდან—დღიდან მათი დაარსებისა. მოხსენებიდან გამოირკვა ფრიად სასიამოვნო სურათი: საბჭოების გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულან სოფლის შეგნებული და მოწინავე პირები და ამოსდგომიან რა მხარში სოფლებში არსებულ ყველა რევოლიუციონურ დაწესებულებებს მთელის ძალ-ღონით რევოლიუციის გაღრმავების კეთილდღეობისთვის ზრუნვით. საბჭოებს, ყველა ყრილობებზე, სადაც კი საჭიროება მოითხოვდა ხოლმე, ყოველთვის გაუგზავნია დელეგატები და ყველა საზოგადო საქმეებში მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა მიუღია. პრეზიდიუმს, დღიდან მისი არჩევისა, ჰქონებია 46 სხდომა, მოუწვევია 14 საზოგადო კრება დეპუტატებისა და 4 საბჭოების მთელი შემადგენლობის ყრილობა. როგორც პრეზიდიუმისა, აგრეთვე საზოგადო კრებებზე ბევრი საყურადღებო კითხვები გარჩეულა და ცხოვრებაშიაც გაუტარებიათ, სახალხო საბჭოების მოქმედება თანდათან ფართოვდებოდა გორის მაზრაში, თანდათანობით ძლიერდებოდა და ბოლოს ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა სოფლის ხალხში, რომ დღეს მისი სიტყვა, მისი გადაწყვეტილება სავალდებულოთ არის მიღებული ყველასაგან.

პრეზიდიუმის მოხსენების შემდეგ, ყრილობა გადადის დღიურ წესრიგში წამოყენებულ საკითხებზე. საკითხები ასეთია: ტყეების დაცვა, იარაღის შეძენა, კოოპერატივების დაარსება და ოსიაურელების საქმე.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ტყეების დაცვის და ხე-ტყით სარგებლობის საკითხმა. გამოირკვა, რომ დღიდან რევოლიუციის გამოცხადებისა, ხალხი შეესია ტყეებს და უდიერათ ანადგურებს. არ ინდობენ არც ახალს არც ძველ ტყეებს და დღითი-დღე ანადგურებენ ხალხის ამ საზოგადო სიმდიდრეს. ყრილობამ გამოსთქვა-რა თავის მწუხარება ამ მოვლენის შესახებ, დაჰგმო ის და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „კავკასიის საზღვრებში არსებული ტყეები შეადგენს მთელი ხალხის სიმდიდრეს და ამიტომ არავის უფლება არ აქვს მიისაკუთროს ამა თუ იმ ადგილას მდებარე ტყე და თავის ნებაზე ანადგუროს. ტყეების მოვლა-დაცვა, ვიდრე ამის შესახებ გამოიცემოდეს რაიმე კანონი, ევალებათ არსებულ სახალხო საბჭოებს და ადმინისტრაციულ კომიტეტებს, რომელთა შეთანხმებით არჩეულ უნდა იქნეს ტყის დამცველი კომიტეტები. შეშით და მასალით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ ამ კომიტეტების ნებართვით და ისიც ნორმალურ ფარგლებში. თვითეული პირი, ანუ სოფელი, ვინც დაარღვევს ამ დადგენილებას და თავის ნებით შევა ტყეში სათარეშოთ, საზოგადოებიდან გამოეცხადება სასტიკი ბოიკოტი“.

ყრილობამ ერთხმათ დაადგინა ხსენებული რეზოლიუცია საჩქაროთ დაეგზავნოს ყველა სოფლის კომიტეტებს და სოფლებში არსებულ რევოლიუციონერ ორგანიზაციებს. იარაღის შეძენის საკითხი არ იწვევს კამათს. ერთხმათ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა ამიერ კავკასიის მთავრობამ საჭირო იარაღი გადასცეს ქართლის რევოლიუციონურს სახალხო საბჭოებს, საბჭოები-კი, რომლებიც დღევანდლამდე ერთგულ დარაჯათ ედგნენ რევოლიუციას, შეიარაღების შემდეგ უფრო მტკიცეთ იდგებიან თავის მოვალეობის სიმაღლეზე. იარაღის გამოთხოვა და დარიგება დაევალა პრეზიდიუმს.

სოფლებში კოოპერატივების დაარსების საკითხი, რომელიც დეპუტატების ერთმა ჯგუფმა წამოაყენა ყრილობაზე, ყრილობის დიდს ყურადღებას იქცევს. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კოოპერატიულ მოძრაობას ფრიად სასარგებლო დაღი დაუმჩნევია ქართლელთა ეკონომიურ ცხოვრებაზე, ბევრი ჩარჩი აულაგმავს სოფლად და მომავალში ხომ თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშოს. ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რათა ყველგან იქნეს დაარსებული კოოპერატივები. კოოპერატივების დაარსებას სახალხო საბჭოებმა ხელი უნდა შეუწყონ და ამ ნიადაგზე ხალხში ფართო აგიტაცია აწარმოვონ.

ყრილობის დიდს ყურადღებას იპყრობს ოსიაურელების საკითხი. მოხსენებიდან შემდეგი ირკვევა: სოფელ ოსიაურში ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოსახლებულან სპარსელები, აუღიათ იჯარით რამდენიმე დღიური მიწა, გაუყვანიათ შიგ არხები და შესდგომიან მებოსტნეობას. ხსენებულ სპარსელთა ნაშრომი აკმაყოფილებდა მთელ რაიონს და მთელი ამ ხნის განმავლობაში გარდა სარგებლობისა, მებოსტნე სპარსელებისაგან ხალხს ცუდი არა უნახავს რა, ამ რამდენიმე კვირის წინათ ჩასულან ოსიაურში ვიღაც ნ. ძიძაძეები და უთქვამთ ხალხისათვის, რომ სპარ. უცხოელები არიან, სარგებლობენ ქართველი გლეხების მიწებით და საჭიროა მათი გაძევება და ბოსტნების ჩამორთმევაო. მცხოვრებთა უმრავლესობას, რა თქმა უნდა მოსწონებია ეს წინადადება და მაშინვე შესდგომიან საქმის განხორციელებას. ოსიაურის საზოგადოების კომისარს ილია ჩერქეზიშვილს და სახალხო საბჭოს ერთ წევრს ივანე მეტრეველს გამოუწვევიათ სოფელი გუთნებით, შეუევიან ბოსტნებს, დაუხნავთ და სპარსელებისთვის მიუციათ წინადადება წასვლისა. გლეხების საქციელი აცრემლებულმა სპარსელებმა სადაც ჯერ იყო აცნობეს და ითხოვეს საქმეში ჩარევა, მაგრამ სამწუხაროთ ამ ნაბიჯის ცდამ, რომ სპარსლებს დახმარებოდენ, უნაყოფოთ ჩაიარა, ოსიაურელების შეჩერება შეუძლებელი შეიქნა და ბოლოს გულდაწყვეტილი სპარსელები იძულებულნი გახდენ გამოთხოვებოდენ თავიანთ ნაშრომს.

ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება, გამოსთქვა თავისი ღრმა მწუხარება მომხდარ ამბების შესახებ და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გამოიტანა ასეთი დადგენილება: „ყრილობამ, დაჰგმო რა ოსიაურელების შეუფერებელი მოქმედება, ამ საქმის მეთაურებს უცხადებს თავის ზიზღს და აფრთხილებს, რომ მეორეჯ აღარ ჰქონდეს ადგილი ასეთს შეცდომას. რაც შეეხება მეთაურებს, ისინი გარიცხული იქნენ სახალხო საბჭოდან და ყველა რევოლიუციონერ ორგანიზაციებიდან. მასთან, მოისმინა რა ყრილობამ მოხსენებანი ზოგიერთა ადგილებში აგრარულ ნიადაგზე მომხდარ უწესოებათა შესახებ, რაც გამოიხატა იმაში, რომ გლეხებმა მიწების ძალით მითვისებასა და მიტაცებლობას მიჰყვეს ხელი, რასაც ბევრ ადგილას უბედურებაც მოჰყვა თან, დაჰგმო სოფლის ხალხის ასეთი ნაბიჯები და რომ ამ საქმემ ფართოთ არ გაიდგას ფესვები, დაევალოთ საბჭოებს ყველგან წესიერების აღდგენა. ყრილობის ეს დადგენილება დაისტამბოს და დაეგზავნოს სოფლის როგორც ადმინისტრაციულ კომიტეტებს, აგრეთვე ყველა არჩეულ კაცებს ხალხში გასავრცელებლათ“.

საკითხების გამორკვევის შემდეგ თავმჯდომარემ ხელ-ახლა წაიკითხა მიღებული რეზოლიუციები, მოუწოდა საბჭოებს ენერგიული მუშაობისაკენ და ყრილობა დახურულათ გამოაცხადა.

ნიკო გურული.

ბაღდადის რკინის გზა

(საზოგადოების საყურადღებოთ)

სანამდის გადაწყდებოდა თუ რა მიმართულებით იქნებოდა გაყვანილი ბაღდადის რკინის გზა, დიმის საზოგადოებამ იქონია მსჯელობა ამა წლის 14 სექტემბერს იმის შესახებ, თუ რა რიგათ უნდა ყოფილიყო მოწყობილი მუშაობა ამ გზაზე. როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ აინტერესებდა ეს საკითხი, რადგან ისინი შეადგენდენ უმეტესობას იმათ შორის, ვინც ამ გზაზე იმუშავებდა. კრებაზე ბევრი მაგალითები იყო მოყვანილი იმის შესახებ, რომ ტრაპიზონ-ერზერუმის გზებზე მყოფი მუშები ხშირათ გაუძარცვიათ „პოდრიადჩიკებს“, და არ დაუკმაყოფილებიათ მატერიალურათ, და დაბრუნებულან თავიანთ სახლში დავალიანებულნი, მუშების ნაოფლარით კი სავსებით მოიჯარადრეებს უსარგებლიათ. მოსაზრებამ, რომ „პოდრიადჩიკები“ არც აქ დააყრიდენ მათ ხეირს, აიძულა კრება ერთხმად გადაეწყვიტა, რომ მოიჯარადრეების ამ გზაზე ადგილი არ ჰქონოდა; ამისათვის კრებამ დაარსა მუშებისაგან შემდგარი „არტელი“ *) ამოირჩია მის წინამძღოლად ინჟ. ა. ჯაფარიძე და [illegible] დგომილა სადაც ჯერ არს, რომ მუშაობა რაც საჭირო იყო ამ გზაზე [illegible] მე, როგორც „არტელის“ წინამძღოლმა, შევუდექი ჩემი დავალების შესრულებას და ამისათვის მივმართე რევოლიუციურ ორგანიზაციებს.

მივმართე რა აღმასრულებელ კომიტეტს ქუთაისის მუშათა საბჭოს თფილისში—საოლქო ცენტრის მუშათა საბჭოს, მაშინვე მათ აღძრეს შუამდგომლობა სამხედრო სამრეწველო კომიტეტთან, რომ არტელის წინამძღოლს ინჟ. ა. ჯაფარიძისათვის მიეცათ უპირატესობა თუ ვინიცობა ინჟ. ჯაფარიძის და მოიჯარადრეების პირობები მუშაობის შესრულების შესახებ ერთნაირი იქნებოდა. პირველ ნოემბერს სამხედრო სამრეწველო კომიტეტმა დანიშნა ვაჭრობა ამ გზის გასაცემათ. კომისიის თავმჯდომარეთ იყო „ცნობილი“ ინჟ. სტატსკი სოვეტნიკი ბ. პროსინსკი. მუშაობის ამღებმა—„პოდრიადჩიკები“ ბევრი გამოცხადდენ, რომლებმაც დაბეჭდილი კონვერტებით განაცხადეს თავიანთი პირობები,—მათ შორის ჩემი პირობებიც იყო, როგორც არტელის წარმომადგენელის.

კომისიამ არ მიაქცია ყურადღება ზემოთ მოყვანილ ორგანიზაციების შუამდგომლობას და მიუხედავათ იმისა, რომ ვინმე „პოდრიადჩიკმა“ სუხარუკმა და კომპ. (სუხარუკოვს დიდი ხანია რაც ინჟ. პროსინსკი იცნობს დაახლოვებით) 72000 მანეთით მეტი ითხოვა შედარებით ჩემზე, მაინც სუხარუკს და კომპ. მისცეს უპირატესობა, რაზედაც შეადგინეს აქტი. კომისიის ასეთმა გადაწყვეტილებამ მე მაიძულა პროტესტი გამეცხადებინა, თანაც დავპირდი ინჟ. პროსინსკის, რომ მათ ამგვარ მოქცევას გავასაჩივრებდი. ამ განცხადების შემდეგ ინჟ. პროსინსკიმ დახია პირველი აქტი (უკვე ხელ მოწერილი იყო) და შეადგინა მეორე, სადაც გამოყვანილი იყო, რომ ბ. სუხარუკის და კომპ. წინადადება უფრო ხელსაყრელია სამხ.-სამრეწ. კომიტეტისათვის. ამ გვარი მოქცევა კომისიისა გავასაჩივრე საოლქო ცენტრის მუშათა საბჭოში; უკანასკნელმა მიიღო რა ამ გვარი განცხადება—მაშინვე განკარგულება მოახდინა, რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტი არ შეკროდა პირობებით მოიჯარადრეებს და მასთან ერთად ითხოვა, რომ მთელი საქმე ვაჭრობის შესახებ გამოეგზავნათ საბჭოში გასარჩევად.

გავიდა ერთი კვირა; სამხედრო სამრეწველო კომიტეტი პასუხს არ იძლეოდა, ამასობაში ბ. პროსინსკის ხელი მოუწერია ბ. სუხარუკის და კომპ. პირობებზე. განმეორებით მისწერა საბჭომ გამოეგზავნა საბუთები და წარმომადგენელი სამხედრო სამრეწველო კომიტეტს. მესამე დღეს გამოცხადდა ინჟ. ზავალიშინი, წარუდგინა საბუთები ვაჭრობის შესახებ და თანაც თავის აზრი წარმოსთქვა ამ საქმის შესახებ (რასაკვირველია ის იცავდა კომისიის დადგენილებას). 16 ნოემბერს საოლქო ცენტრის მუშათა საბჭომ იქონია მსჯელობა და ერთხმად გადასწყვიტა, რომ „კომისიას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ინჟ. პროსინსკი, არ მიუღია მხედველობაში მუშების ინტერესი და მიუხედავათ იმისა, რომ მათი წინადადება 72,000 მანეთით უფრო ნაკლები იყო შედარებით მოიჯარადრე სუხარუკის და კომპ. მაინც უპირატესობა მისცეს უკანასკნელს. ამისთვის დაადგინა: „მუშაობა იმ პირობებში რა პირობებიც არტელის წინამძღოლმა განაცხადა, „ტორგების“ დღეს, გადაეცეს მას“; ეს დადგენილება გადაეცა ამიერ კავკასიის შრომის კომისარს ე. პ. გეგეჭკორის დასამტკიცებლათ, რომელმაც დაამტკიცა და მასთან ერთად 18 ნოემბერს მისწერა სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარეს (ბ. ზავალიშინს), რომ მუშაობა გადაეცათ მუშათა არტელის წინამძღოლის ხელში და პირობაც მასთან შეეკრათ. ბ. ზავალიშინს არ ესიამოვნა ამ გვარი კატეგორიული განკარგულების მიღება, უმეტესათ კი არ ესიამოვნა ინჟ. პროსინსკის, რომელსაც მოიჯარადრეების პირობებზე ხელი მოწერილი ჰქონდა. სამხედრო სამრეწველო კომიტეტი 25 ნოემბრამდი ყოველ დღე მპირდებოდა პირობას შევკრავთო, მხოლოდ 25 ნოემბერს გამოაცხადეს: გზის მუშაობა დროებით შევაჩერეთო.

როგორც გავიგე, სამხედ. სამრეწველო კომიტეტს აზრათ ჰქონია სრულებით აღარ გაიყვანოს ბაღდადის რკინის გზა. ეს თუ ასეა, მაშინ ჩვენ დავწმუნდებით, რომ აქ პირად ინტერესებს აქვს ადგილი. ბ. ზავალიშინმა ამიერ კავკასიის კომისარიატის ბრძანებას პირდაპირი უარი ვერ უთხრა ისე კი კარგი ხერხი იხმარა. იმედია ახლად შედგენილი კომისარიატი გაითვალისწინებს ამ საქმის ვითარებას, გაითვალისწინებს სამას ათას მცხოვრებთა ეკონომიურ ინტერესებს და არ მისცემს ნებას სამხედრო სამრეწველო კომიტეტს მჭიდროთ დასახლებული მხარე, როგორიც არის ბაღდადის რაიონი, მოაშოროს ცენტრს, ბ.ბ. პროსინსკებს კი ასეთ მოღვაწეობისთვის შესაფერ ადგილს მიუჩენს.

მუშათა არტელის წინამძღოლი

ინჟ. ანტონ ჯაფარიძე.

ვთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

---

*) არტელში ჩაწერა შეეძლო ყველას, ვისაც მუშაობა შეეძლო, თუ გინდ მუშა სხვა საზოგადოების მცხოვრები ყოფილიყო.

ბათუმის ჯარისკაცთა საბჭოში

28 ნოემბერს შესდგა ბათუმის ხელ-ახლა არჩეულ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. მალხაზოვი. ის ძველი პრეზიდიუმის სახელით მისალმებით სიტყვით მიმართავს საბჭოს ახალ შემადგენლობას; ვრცლად ეხება საბჭოების განვლილ ისტორიას და მათ დიდ მნიშვნელობას რუსეთის რევოლუციაში. აღნიშნავს, რომ თუ რევოლუციის პირველ დღეებიდანვე საბჭოები მტკიცეთ დაადგენ ქვეყნის და ხალხის თავისუფლების დაცვას, დღესაც ამავე საბჭოებმა უნდა გამოიყვანოს რუსეთის რევოლუცია განსაცდელისაგან და დააყენოს სწორ გზაზე. ბათ. საბჭოს კავკასიის რევ. დემოკრატიასთან ერთად ამ რევოლუციაში არ გადაუდგამს არც ერთი შემცდარი ნაბიჯი. ჩვენ ყოველთვის მტკიცეთ გვქონდა შეგნებული ჩვენი მოვალეობა და რაც კი იყო შესაძლებელი, შევასრულეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების უკანასკნელი გამოსვლით რუსეთის ბევრ ქალაქებში სამოქალაქო ომი გაჩაღდა და მრავალი მსხვერპლი შეიწირა, ჩვენ კავკასიის რევოლუციონურ დემოკრატიასთან ერთად შევძელით ადგილობრივ დაგვეცვა სრული რევოლუციონური წესიერება, მთლიანი დემოკრატიული ფრონტის შერჩენა და სამოქალაქო ომის თავიდან აცდენა...

დღეს, როდესაც მთელი კავკასია მოწყვეტილია ცენტრს ბოლშევიკების უკანასკნელი გამოსვლის გამო, ამიერ კავკასიის რევოლუციონური დემოკრატია იძულებული გახდა შეედგინა საკუთარი მთავრობა, რომელიც სასურსათო, ფინანსიური და სხვა რადიკალური ზომების მიღებით ამიერ კავკასიას გადაარჩენს არევ-დარევისაგან და მიიყვანს ჩვენს ქვეყანას დამფუძნებელ კრებამდე. ამიერ კავკასიაში არ არის შესაძლებელი წმინდა სოციალისტური მთავრობის შედგენა. ამიერ კავკასიის მუსულმანობა არ არის განვითარების იმ დონემდე მისული, რომ უმრავლესობამ სოციალისტებს მიანდოს თავიანთი ინტერესების დაცვა. ამიტომ საბჭოთა ცენტრი მეტად ბრძნულად და სამართლიანად მოიქცა ისეთი მთავრობის შედგენით, რომელსაც ამიერ კავკასიაში ყველა მობინადრე ერები ნდობით და სიმპატიით უყურებენ...

დასასრულ ორატორი უსურვებს საბჭოს ახალ შემადგენლობას ნაყოფიერ მუშაობას და იმედს გამოსთქვამს, რომ შემდეგშიაც იმ სწორ ტაქტიკას გაჰყვება, როგორსაც დღევანდლამდე ეჭირათ ბათუმის საბჭო და საერთოდ კავკასიის რევოლუციონური დემოკრატია.

ჯერი მიდგა პრეზიდიუმის არჩევნებზე. ერთი საათით შესწყდა კრება ძალთა განწყობილების გამოსარკვევად და ფრაქციების სათათბიროთ.

გამოირკვა, რომ საბჭოს ახალ შემადგენლობაში სოც.-დემ. მენშევიკები გასულა 30 მდე, ბოლშევიკები 34, ესერები 38. მოხდა ფრაქციათა შეთანხმება პრეზიდიუმის ასარჩევად. საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მალხაზოვი (ს.-დ. მენშ.), თავმჯდომარის ამხანაგებათ: პროხოვი (ს. დ. მენშ.) განშინი (ბოლშ.), ლედენკი (ესერი). პრეზიდიუმის წევრებათ: თავაძე (სოც.-დემ. მენშ.) კრიუჩკოვი (ბოლშ.), დუმბაძე (ბოლშ.), სიმუტინი (ესერი), ლევინი (ესერი), პუჩინინი (ესერი) და ერთიც უპარტიო.

ვ. დვაბზუელი.

ჯარის-კაცთა წერილები

მეშვიდე ქართული მსროლელი პოლკის ცხოვრებიდან. ბევრ თვენახევარზე მეტია, რაც ჯარების ნაციონალიზაცია იქნა ნებადართული. ამ ნებართვის შემდეგ პირველი ქართული ნაწილის შედგენა—ეს მეშვიდე ქართული მსროლელი პოლკის ორგანიზაცია იყო. მისი მოწყობა თავიდანვე ნამდვილ ქართულ საქმიანობით იყო დაწყებული და დღემდისაც თითქმის ამგვარადვე გრძელდება...

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ პოლკის შედგენა, მოწყობა-მოვლა თითქოს გამზადებულ ლუკმის გადაყლაპვა იყოს; მაგრამ მას რომ ერთგვარი საქმიანობა და ორგანიზატორული ინიციატივა აკლია, ეს ან არსებულ ფაქტის ხელის დაფარება და თავის მოტყუება იქნებოდა, ან სიბრმავე და სინამდვილის არ დანახვა.

უსამართლობა იქნებოდა, რომ ამისი ბრალი ვინმე ერთი პიროვნებისათვის მოგვეხვია თავზე, თვითეული იმ პირთაგანი, ვისაც წილი და უფლება აქვს ქართული ჯარების მოწყობა-მოვლაში, ან თვით შედიან ამ ჯარის შემადგენლობაში,—უბრალო ჯარისკაცი ის, თუ ოფიცერი, თავის მდგომარეობით ნაკისრი მოვალეობის სათანადოთ არ შესრულებით ამ ნაკლოვანებას იზიარებენ და მით ქართველი ხალხის და რუსეთის დიდი რევოლუციის წინაშე პასუხისმგებლობას კისრულობენ.

საჭიროა მეტი ენერგია და უფრო მკვიდრი ორგანიზაცია, საჭიროა მეტი ნდობა, თანხმობა და ერთსულოვნება, რომ ამ ახალ საქმეს დაწყებისთანავე არ ეტყოს წყლი.

ჯარისკაცები ჯერ ცოტა არიან და ისინიც როდიც უნდობლობით დაავადმყოფებულნი. სამი პარტია ჯარისკაცებისა მოსულა სხვადასხვა ადგილებიდან და სხვადასხვა დროს. როცა ჯერი მიდგა იმათი როტებში დაყოფაზე, რომ ამიროგად პოლკის ყველა როტებს საფუძველი ჩაყროდა, ისინი კატეგორიულ უარს აცხადებენ დაყოფის წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ თვითეული პარტია თითო როტაში იქნეს მოქცეული; ამ თავის მოთხოვნილებას ასამართლებენ, ისინი ამბობენ: რომ თითქოს მათ აქუცმაცებენ, ანაწილებენ და მით აუძლურებენ იმიტომ, რომ უკეთ დაიმორჩილონ... საოცარია, რომ საქმე ასე იყოს!!! ვინ ვის დამორჩილებას და ან რა მიზნისათვის უნდა ლამობდეს?!? და თუ ჩვენ შორის მართლაც ამას ვინმე მოისურვებს, ნუ თუ ჩვენ საშვალება და ძალა არ გვექნება, რომ ის საზოგადოების სამსჯავროს წინაშე წარვუყენოთ, რომ ასეთი არა სასურველი ელემენტებისაგან განვთავისუფლდეთ?! მაგრამ აქ ჯერ-ჯერობით ასეთი არაფერია. ამ დანაწილებას მოითხოვს პოლკის ორგანიზაციის აუცილებლობა და ამხ. ჯარისკაცებიც იმედს კეთილგონიერებას და საქმის სიყვარულს გამოიჩენენ, რომ მას არ შეეწინააღმდეგებიან. ნაკლოვანება და თან მავნებლობაა რაოდენიც სანიტარების დანიშვნის დღეს. ძალა ერთობაშია და ჩვენი, ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ხელი-ხელ ჩაკიდებულმა უნდა ვიაროთ, რომ საერთო საქმე გავაკეთოთ და შეგნებული მდგომარეობით დანაკისრი მოვალეობა ჩვენი ხალხისა და მთელი დემოკრატიის წინაშე პირნათლად მოვიხადოთ.

ნარ—ონი.

სოც.-დემ. პარტიაში

თავრიზი. იშვიათია დღეს ისეთი ქვეყანა, სადაც სოციალ დემოკრატიული პარტია არ არსებობდეს. ამ მხრით გამონაკლის შეადგენს სპარსეთი. არ შევუდგები ამის მიზეზის დაწვრილებით ახსნას. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქ ჯერ კიდევ ბატონ-ყმობა არსებობს, რომ ჯერ კიდევ კარჩაკეტილი ცხოვრებაა. მაგრამ აშკარათ ეტყობა, რომ სპარსეთის ასეთი მდგომარეობა დღეს არა, ხვალ მაინც შეირყევა და ყოველი ძველის ნგრევა დაიწყება. ის უკვე დაიწყო და ახლო მომავალში უფრო თვალსაჩინო სახეს მიიღებს—უფრო გადატრიალების მოწმე გავხდებით. ვერ ვიტყვი, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქ მაგარი საფუძველი ჰქონდეს. ის მუშათა კლასის პროლეტარიატის საშოდან წარმოიშვა. ეს უკანასკნელი მისი მშობელიც და საფუძველიც. ამ მხრივ სპარსეთი სუსტია; მუშათა კლასი, ამ სიტყვის ევროპიული მნიშვნელობით აქ არც არსებობს; თუ მსგავსი რამ ჩანასახია, ესეც უცხო კაპიტალის წყალობით, რომელიც მიილტვის აქეთკენ, როგორც საუკეთესო ელდორადოსაკენ, რათა ისარგებლოს საერთოთ ქვეყნის ჩამორჩენით.

19 ნოემბერს თავრიზში ჩაეყარა საფუძველი ს. დ. პარტიას. ამ შემთხვევაში დიდი ღვაწლი მიუძღვით კავკასიას, კავკასიელ ამხანაგებს. მრავალ სპარსელ ამხანაგს უმუშავია კავკასიაში ს. დ. ორგანიზაციებში. დღეს ეს თვით ამხანაგებმა საუკეთესო ნიადაგი ნახეს აქ ამ პარტიის გადმოსანერგავად. დღეს ისინი აქ თავისუფლად სუნთქავენ, თავისუფლად მოქმედებენ, ვინაიდან სპარსეთის მთავრობა რუსის რევოლიუციონური ჯარის შიშით მათ ვერაფერს უშლის. რამოდენიმე სპარსელ ამხანაგების მეთაურობით დანიშნულ რიცხვში მოხდა კრება თანამგრძნობ სპარსელებისა, რომელთა რიცხვი ხუთასს კაცამდე აღწევდა. მიწვეულ იქნენ აგრეთვე სხვა ს. დ. პარტიის წევრები. ამხანაგმა საშა გამომსვლამ გახსნა კრება. ის კრებას მიესალმა რ. ს. დ. მ. პ. სახელით, შეეხო ს. დ. პარტიას, მის მსოფლიო მნიშვნელობას, ახსნა, თუ რა არის სოციალიზმი, რა არის ამ პარტიის უმახლოესი მიზანი, ახსნა დაწვრილებით პროგრამა და დასასრულ მოუწოდა შეკავშირებისაკენ. შემდეგ ილაპარაკეს ამხანაგმა აბდულა შაგიევმა და მაშადი ხეინმა. არჩეულ იქნა კომიტეტი შვიდი კაცისაგან. დაყოფილ იქნა რაიონებათ მთელი თავრიზი, შედგენილ იქნა სია ხელმძღვანელებისა. გადაწყდა გაიხსნას პროპაგანდისტთა სკოლა, სადაც იმეცადინებენ ჩვენი ამხანაგები. მოწვეულ იქნა საგანგებო მთარგმნელი თანამშრომლად წიგნებისა, ფურცლებისა და სხვ. საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა თვით ამხანაგი გამომსვლელი. ჩვენ სიხარულით ვეგებებით ამ პირველ მერცხალს, სპარსეთის ჩაგრულთა განმათავისუფლებელს. ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას.

რ—ელ აცანელი.

მუშათა შორის

თფილისის მექვ. საქ. მუშ. კავშირი. 29 ნოემბერს ბიუროს ბინაზე (მეტრეველის ქ., № 18) დანიშნული იყო მექვეთი საქმის მუშათა კავშირის რწმუნებულთა და გამგეობის წევრების შეერთებული კრება. კრებას დაესწრო 41 კაცი. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრთა ხელ-ახალი არჩევნები; მექვეთი საქმის კონფერენცია; ტარიფი და ჟურნალი. კრებამ იქონია მსჯელობა პირველ კითხვაზე და კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა შემდეგი 24 ხმით, 17-ის წინააღმდეგ: მიეცეს წინადადება სამანდატო კომისიას, რათა დაიჩქაროს არჩევნები და მოისპოს ის პროვოკაციული და შეუფერებელი ხმები, რომელსაც დღეს ადგილი აქვს მუშათა შორის. არჩეულ იქნა რუსეთის საერთაშორისო მექვეთი საქმის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატი ამხანაგი პუგაჩევი (მენშ.). აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება, რომელმაც ზოგიერთ ამხანაგებში გამოიწვია უკმაყოფილება, რომელიც შეიძლება მიეწეროს საქმის შინაარსის უცოდინარობას. როგორც იციან ხსენებულ კავშირის წევრებმა, ეს კონფერენცია დღემდე უნდა მომხდარიყო. დანიშნული იყო, მოსკოვის ამხანაგების ჩვენებით, 15 ოქტომბერს, რამაც გამოიწვია დელეგატების გაგზავნა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო არ შესდგა ხსენებული კონფერენცია. ამ საქმეზე დაიხარჯა 550 მანეთი, რომლითაც ზოგიერთი ამხანაგები უკმაყოფილოა და ასახელებენ, თითქოს ამხ. დუმბაძე და პოლტორაცკი იცოდენ, რომ არ შესდგებოდა კონფერენცია და მაინც წავიდნენ. მე ვიტყოდი, რომ ეს არ არის მართალი, რომლითაც შეუძლია თვითეულ უკმაყოფილო წევრს დარწმუნდეს ჩემს სიტყვაში,—მივიდენ და გაეცნონ იმ დეპეშას, რომლითაც 15 ოქტომბერს იწვევენ მოსკოვის ამხანაგები ხსენებულ კონფერენციას. მე მგონი ამაზე ზედმეტია ფიქრი და ლაპარაკი, მაგას ვერ ვუსაყვედურებთ ხსენებულ დელეგატებს და ვერც უკან მოვითხოვთ დახარჯულ ფულებს, რადგანაც ეს ყველაფერი მოხდა ჩვენი დადგენებით და არა მათი თვითნებობით, როგორც ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ. შემდეგ არჩეულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი გაფიცვის კომისია, რომლის მოვალეობაა შეადგინოს უზრუნველყოფილობის გაფიცვის საქმეს, მთლიანათ გაატაროს ყველა მუხლები ტარიფისა იქ, სადაც ხაზეინები არ ასრულებენ მას. კომისიას ეძლევა ასეთი ხაზეინებთან იქონიოს მოლაპარაკება, რომ საქმე არ მიიყვანოს უკანასკნელ საშუალებამდე, კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს ტარიფში ნაჩვენები მუხლებით, რომ მთლიანათ და შეუსწორებლად იყოს მოწინააღმდეგე ხაზეინებისაგან მიღებული, ე. ი. კომისიას არ ეძლევა უფლება, რომ შესწორებით გაატაროს რომელიმე ტარიფის მუხლი. შემდეგ საკითხი გადაიდო მორიგი კრებისათვის.

ნ. ფ. ჯიბლაძე.

პროვინციის ცხოვრება

ლიხაური. 14 სექტემბერს ლიხაურის მომხმარებელ საზოგადოების „ეკონომიის" სარევიზიო კომისიამ მოიწვია არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ნ. მჟავანაძე და მდივნათ ამხ. ქ. გორგოშიძე. შემუშავებულ იქნა კრების შემდეგი წესრიგი: გამგეობის არჩევნები, სპეციალისტ ინსტრუქტორის მოწვევა დუქნის ანგარიშის დროს და მუდმივი ბუხგალტერის და საქონლის მომტანის აყვანა, ჰპის უბნის თხოვნა დამოუკიდებელ კოოპერატივის გახსნაზე, ჰანიეთის განყოფილების გახსნა. პირველათ კრება შეუდგა გამგეობის არჩევნებს, ძველმა გამგეობის წევრმა ამხ. ი. გობრონიძემ წამოაყენა საპატიო მიზეზათ ის, როგორც კომისრათ არჩეული ვერ გასწვდება ამდენ საქმეებს, რისთვისაც განთავისუფლებული იქნა. ამხ. ხ. თაყაიშვილი, როგორც ავათმყოფი კრებამ განთავისუფლა და ნ. ურუშაძე როგორც არა სასიმეთო ცნობილი პირი კოოპერატივის საქმეში. შემდეგ დასახელებულ იქნა ახალი კანდიდატები და ფარული კენჭით არჩეულ იქნენ შემდეგნი პირნი: ბ. ლონაძე, ე. გობრონიძე, ლ. რუსიეშვილი, გ. გოგორიკიძე და ვ. ცეცხლაძე, კანდიდატებათ: მ. ვასაძე და მ. გოგოლიშვილი. სპეციალისტ ინსტრუქტორის მოწვევის შესახებ დუქნის ანგარიშის დროს და ბუხგალტერის და საქონლის მომტანის შესახებ კრებამ დაადგინა: მოწვეულ იქნას კარგი ინსტრუქტორი და აყვანილ იქნას მუდმივი ბუხგალტერი და საქონლის მომტანი. ჰპის უბნის თხოვნა დამოუკიდებელ კოოპერატივის გახსნაზე, კრებამ დაადგინა: გაეხსნას განყოფილება თუ კი მათ აღმოაჩნდებათ საკმაო წევრები წესდების თანახმათ, დამოუკიდებელი კოოპერატივი კრებამ უარჰყო. ჰანიეთის განყოფილების გახსნის შესახებ კრებამ დაადგინა: გაეხსნას თანახმათ წესდებისა. შემდეგ გამგეობამ აირჩია თავიანთ შორის თანამდებობის პირნი: თავმჯდომარეთ ბ. ლონაძე, მდივნათ გ. გოგორიკიძე და ხაზინადარათ ლ. რუსიეშვილი. გამგეობამ მოიწვია ბუხგალტერათ ამხ. ქ. გორგოშიძე და საქონლის მომტანათ ნ. ცეცხლაძე. იმედია ახალი გამგეობა და მათი მოწვეულნი პირნი ღირსეულათ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და გაასწორებენ ყოველივე ნაკლს თუ რამ არსებობდა აქამდის, როგორიც არის მაგალითად წევრების მიღების შესახებ. წესდების ძალით სრულ უფლებიან წევრათ ითვლება ყველა ის, ვინც შემოიტანს საწევროს და საპაის, რაც არ აღემატება ჩვენი წესდების თანახმად 7 მანეთს. ეხლა კი ღარიბებისთვის განსაზღვრულია 23 მან. და შეძლებულებისთვის 28 მ. ეს იმიტომ, რომ რადგანაც ძველმა წევრებმა შენობა გააკეთეს, რომელიც დაუჯდათ 3,200 მ-დე თვითეულ წევრს პაის ზევით შეხვდა 14 მ. შემდეგ პირველ და მეორე წლების ანგარიშიდან მოსაგები რაც შეხვდა თვითეულ წევრს დასტოვეს ისევ კოოპერატივში და გადადებული გახადეს ახლათ მისაღები წევრები პირველებს გასწორებოდათ, რის შემდეგ ასეთ პირობებში 200 ზე მეტი წევრი არის მიღებული, რაც არ არის დემოკრატიული და ასეთი ქცევით კოოპერატიული პრინციპიც დარღვეულია. ასეთ მდგომარეობას რომ თავი დააღწიოთ, უნდა მოიქცეთ შემდეგ ნაირათ: წევრები პაის ზევით შემოტანილ შენობის ფულში, თუ ისურვებენ შეიძინონ იმისი პაი, მაგრამ რადგანაც საზოგადო კრებას წევრთა მაღება განსაზღვრული აქვს მხოლოდ ორი პაით და მეტის შეძენა არავის არ შეუძლია, ამ შემთხვევაში შეუძლიათ ჩაეწერონ წევრათ ოჯახის სხვა წევრებიც და ვისაც ასეთი არა ყავს, ჩასწერონ ვისაც ისურვებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს სესხათ კოოპერატივზე და მათ მიეცეს განსაზღვრული სარგებელი. რაც შეეხება მოსაგების კოოპერატივშივე დატოვებას და შემდეგ მისაღებ წევრებზე იმის მოთხოვნას, რომ ჩვენ გაგვითანასწორდითო, ესეც არ არის კოოპერატიული პრინციპი. ყველა ის, ვინც კი ისურვებს წევრათ შემოსვლას, უნდა გადაიხადოს წესდების თანახმათ მხოლოდ საწევრო და საპაიო. გარდა ამისა არც მომხმარებელთა საზოგადოება და არც მისი გამგეობა არ უნდა იყოს გამსჭვალული გამდიდრების სურვილებით, ამის დამადგენი კოოპერატივის დანიშნულებაა მომხმარებელს მიაწოდოს კარგი საქონელი და ბაზართან შეთანხმებულ ფასებში. არც მეტი და არც ნაკლები. ამასთან, რადგანაც კოოპერატივის წინმსვლელობა, კოოპერატივის მოსამსახურეებზეა დამოკიდებული, ამისთვის უპირველესათ ყოველისა მოსამსახურეები ყოველის მხრივ კარგს პირობებში უნდა იყოს და კოოპერატივს დარჩეს ყოველივე ხარჯს გარდა მოგება მხოლოდ განსაზღვრული პროცენტები. ეს არის მომხმარებელი საზოგადოების პრინციპი და ახალმა გამგეობამაც ამ გზაზე უნდა დააყენოს კოოპერატივი და არა თავის თავზე 2000 მდე მოსაგები რიცხოვდეს და მოსამსახურეები კი თავიანთი აუტანელი პირობებით საზოგადოებას მსხვერპლათ ეწირებოდეს. აგრეთვე შეძენილ უნდა იქნას წევრთა ნავთის „ჩეკები", რომ წლის თავზე ანგარიშის დროს ვიცოდეთ ვის რამდენი უვაჭრია, რადგანაც წესდების თანახმად მოსაგები ნავთის და მარილის უნდა გაიყოს თუ ამას მოისურვებენ წევრები. ამიტომ, გამგეობას უხდება მუშაობა დიდ გართულებულ პირობებში, მაგრამ ყოველივე დაბრკოლებებს გადალახავენ და საქმეს ღირსეულათ წარუძღვებიან, რომ განყენებულათ და დამოუკიდებლათ არ იმუშავებენ და მოუწოდებენ ამხანაგებს გაუწიონ ყოველმხრივ ენერგიული დახმარება. უსურვებ გამგეობას არჩეულ გზიდან არ გადამდგარიყოს და მით მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყროს.

მუშა ბარიკადა.

ფონდი

მივიღეთ თფილისელ და სოხუმ გოლიაშვილისაგან 20 მან. აქედან ათი მანეთი გაზეთის ფონდისათვის და ათიც პარტიულ სტამბისათვის.

—

მივიღეთ ლაზარე ჯორბენაძისაგან საარჩევნო ფონდისათვის 25 მან.

—

მიტროფანე ხუხუნაიშვილისაგან მისი სიდედრის ალდათი ამბაძე—მელქაძის ასულის ხსოვნის ასანიშნავად—5 მან.

—

მივიღეთ სალხინის სახ. ამხანაგობისაგან 20 მან. და 63 კ.—რევოლიუციაში დაზარალებულ ოჯახთა სასარგებლოდ.

კვირას, 3 დეკემბერს,
ერთობის უბნის მუშათა კლუბის ბინაში უბნის კომიტეტი იწვევს საზოგადო

საუბნო კრებას

დღის 3 საათზე,
რომელზედაც აუცილებლათ უნდა დაესწრონ ერთობის უბნის ყველა მცხოვრებნი.
უბნის კომიტეტი.

ამით ვაუწყებთ ყველას, რომ თფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციული კომიტეტი მოთავსებულია დროებით ყოფილ ხაზინის მართველობის შენობაში: სოლოლაკის ქუჩა № 16.

მისაღებიობა არის დილის 9 ს. შუად. 3 ს. გარდა კვირა უქმეებისა.

თავმჯდომარე: გ. ცაბაძე.

3—1 მდივანი: პ. ეურემიძე.

ბიურო

მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია მე-6 სავაჟო გიმნაზიაში (ელენეს ქ. № 8) აქ შეიძლება გამოიწეროს გაზეთები: „ერთობა", „ბორბა" და „ფაიკარი". იყიდება სხვა და სხვა ბროშურები. მიღება ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-დე.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვერიოვკის მიდამოებში, რიხვიაშვილის ქუჩა, № 19.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა
დაარსებული
ბ. ზაიკინა-შინკარევის
მუხ., თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.
ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ
დილით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-როდნევისამ
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. [illegible] ქ. № 22.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ-ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი
გ. დონხინი
უფროსი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი გ. მ. მეხაძე
იღებს სანოსტალურ ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ძველი მთავრის ქუჩა № 67; ოფიციალური ტელეფონი ხაზ. შეზარის მიერ, ხაზ. ხეანაშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი ☿ ელექტრიზაცია. ტფილისური ქუჩა, № 4

ექიმი პ. ი. მეარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—8 ს., კვირა დღის გარდა.
შინთაგის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00.

ექიმი
ანტიოხი
შინაგანი ავათმყოფობანი და ავათმყოფობანი ყურისა, ყელისა, ცხვირისა და თვალისა. მიღება ყოველ დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. შაბათობით უფასოთ, მემუთოვის ქ. 26.

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა ☿ განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, პლევრისა და ფილტვისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალიცინალი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. მემუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საოლქო კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. მ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურათ	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულათ	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძიის სოც. დემ. ბრძოლა რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20 „
9. ვინაა წიგნაკი ქართულათ	20 „
10. ოთხი ძმა ქართულათ	25 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. ოქმები, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე ოქმები რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21. რა უნდა მიწას პ. მასლოვისა, რუს.	
22. საფრანგეთის რევოლუცია 1848 წ. ნ. ჟორდანიასი ფასი	65 „
23. ერფურტის პროგრამა სრული, რუსულ ენაზე ფასი	1 მ. 50 კ.
24. პოლიტიკის ანბანი, რუსულ და ქართულ ენაზე, ფასი	20 კ.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დღეიდამით, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნეს გაგზავნილი, პროცენტი ემატება 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნეს წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდაუდებლათ ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацiи Р. С. Д. Р. П. Головинскiй № 12.

სწრაფმბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.